F 133
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 1961 წ.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

57. სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ.
58. რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის საკავშირო რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნისა და პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

60. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

Г-9484

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

61. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 ივლისის № 504 დადგენილების დანართებში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.

62. 1961 წლისათვის მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლისა და ბალახთა თესლის კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

63. შავი ზღვის სანაპიროს კილომეტრნახევრიან ზოლში ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროებითი წესების შესახებ.

64. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

65. საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების შექმნის შესახებ.

66. საქართველოს სსრ უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შესახებ.

67. „კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის № 176 დადგენილების, ავრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აპრილის № 271 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე.

68. სახელმწიფო გეგმის შესრულებამდე საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ ხილისა და ბოსტნეულის გატანის აკრძალვის შესახებ.

69. რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღმზრდელებისათვის შეღავათებისა და უპირატესობის დაწესების შესახებ.

70. საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა კავშირის წესდების დამტკიცების შესახებ.

71. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულებების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

72. თევზის მარაგის დაცვის და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს ინსპექციის სამსახურის იმ წესების 13 და 14 მუხლების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73. საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.

74. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

75. თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის შესასყიდი ფასების შესახებ.

76. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

57 სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივნისის № 536 დადგენილება „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ ყველა დაინტერესებულ სამინისტროსა და უწყებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას დაინტერესებულ უწყებებთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებებისა და განკარგულებების ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 11 ივლისი, № 445

ასლი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 536

1961 წლის 13 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოპოვებულია ერთგვარი მიღწევები სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მეცნიერ მუშაკთა რიცხვი ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელება მოითხოვს მეცნიერულ გამოკვლევათა შემდგომ გაშლას და მათი ხარისხის ამაღლებას, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაფართოებასა და გაუმჯობესებას.

მაგრამ მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარება ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სამეცნიერო და სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ბევრი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მეცნიერები ჯერ კიდევ ცოტას ატარებენ მეცნიერულ გამოკვლევებს ისეთ პრობლემებზე, რომლებსაც მრეწველობა და სოფლის მეურნეობა აყენებენ. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გატარების დროს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მათი ეკონომიური დასაბუთების საკითხებს.

სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვებიან მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები. უმაღლესი სასწავლებლები სუსტად იზიდავენ პედაგოგიური მუშაობისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დიდ სპეციალისტებს. ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა საერთო რიცხვში შედარებით მცირეა მეცნიერებათა დოქტორების წილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირთა უმრავლესობა, რომლებიც ასპირანტურას ამთავრებენ დანიშნულ ვადაში არ იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ეს მოწმობს, რომ ასპირანტთა სამეცნიერო მუშაობას ორგანიზაციაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

უმაღლესი სასწავლებლები სუსტ ყურადღებას აქცევენ იმ სპეციალისტთა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლებიც მუშაობენ საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, არასაკმაოდ მონაწილეობენ საუკეთესო სპეციალისტთა შერჩევაში, რათა მომზადებულ იქნან მათგან მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს სამეცნიერო ხარისხისა და წოდებათა მინიჭების პრაქტიკაში.

სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მეცნიერებათა დარგობრივ და რესპუბლიკურ აკადემიებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. განახორციელონ მნიშვნელოვანი გაფართოება და ხარისხის ამაღლება მეცნიერული გამოკვლევებისა, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის, რაც უზრუნველყოფს შემდგომ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადებასა და სხვა აქტუალური მეცნიერული პრობლემის გადაჭრას. ამ საფუძველზე სისტემატურად განახორციელონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გადიდება და გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, სახალხო მეურნეობის მოთხოვნების შესაბამისად.

. მეცნიერთა უმნიშვნელოვანეს მოვალეობად ჩაითვალოს ღირსეული მეცნიერული ცვლის მომზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გეგმიურად წინოს 1962 წლიდან ყოველწლიურად სახალხო-სამეურნეო გეგმებ-ბით უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ მუშაკთა დამატებითი რაოდენობა 1000 საშტატო ერთეულამდე, რათა ეს თანამდებობანი დაიკავონ მასწავლებლებმა, რომლებიც მუშაობენ სადოქტორო დისერტაციებზე სახალხო მეურნეობის აქტუალურ ან თეორიულ პრობლემებზე, ამასთან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაანაწილოს ისინი მოკავშირე რესპუბლიკებსა, იმ სამინისტროებსა და უწყებებს შორის, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ.

ნება დართოს უმაღლეს სასწავლებლებს გაათავისუფლონ პედაგოგიური მუშაობისაგან მეცნიერებათა კანდიდატები, რომელთაც აქვთ გამოკვლევათა სერიოზული შედეგები და უმაღლესი სასწავლებლების საბჭოების მიერ მოწონებული გეგმები სამეცნიერო მუშაობისა დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ან თეორიულ საკითხებზე, ამასთან გადაიყვანონ ისინი უფროს ან უმცროს მეცნიერ თანამშრომლებად ორ წლამდე ვადით სადოქტორო დისერტაციების მოსამზადებლად.

დაწესდეს, რომ მეცნიერ თანამშრომლებად გადაყვანილი მასწავლებლები ერთი წლის გასვლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს წარუდგენენ სამეცნიერო ანგარიშს, რომლის შედეგების მიხედვით საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას დატოვოს ისინი შემდეგში მეცნიერ თანამშრომლებად დისერტაციაზე სამუშაოდ, თუ დააბრუნოს სამასწავლებლო სამუშაოზე.

3. უფლება მიენიჭოთ უმაღლეს სასწავლებლებს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით მიავლინონ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკები სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეცნიერო გამოკვლევების შესასრულებლად, მოწინავე გამოცდილების განსაზოგადებლად და დამთავრებული მეცნიერული სამუშაოების დასანერგავად, ექვს თვემდე ვადით, ხელფასის შენარჩუნებით. აღნიშნულ მუშაკებს აუნაზღაურდებათ ბინის ქირა მივლინებაში ყოფნის მთელი დროისათვის, მგზავრობის ღირებულება იქით და აქეთ, ხოლო დღიურები — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივნისის № 1047 დადგენილების შესაბამისად — არა უმეტეს ორი თვისა.

4. დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკა-

დემიას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავ-
შირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან და სსრ კავშირის მინის-
ტრთა საბჭოს სხვა სახელმწიფო კომიტეტებთან ერთად დაამტკიცონ
ასპირანტურაში ყოველწლიური მიღების გეგმები სპეციალობის
მიხედვით, გაითვალისწინონ, რომ საჭიროა დაკმაყოფილდეს უმაღ-
ლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებების, სამრეწ-
ველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციე-
ბის მოთხოვნილება სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კად-
რებზე, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ გადიდდეს სამეცნიე-
რო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება სახალხო
მეურნეობისათვის, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ
დარგებში.

5. იმ მიზნით, რათა შემდგომ გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს
სამეცნიერო კადრების მომზადება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ,
დაწესდეს, არსებული შეღავათების დამატებით, რომ დაუსწრებელი
ასპირანტები თავისუფლდებიან, მათი თხოვნით, ძირითადი სამუშა-
ოსაგან კვირაში ერთ დღეს სწავლების ოთხი წლის განმავლობაში,
ამასთან მათ შრომა აუნაზღაურდებათ იმ ხელფასის 50 პროცენტის
ოდენობით, რასაც ისინი ღებულობენ.

ამას გარდა, ნება დაერთოს საწარმოთა და დაწესებულებათა
ხელმძღვანელებს აძლიონ ასპირანტურაში სწავლების მეოთხე წელს
დამატებით, ასპირანტთა სურვილისამებრ, კიდევ ერთი-ორი თავი-
სუფალი დღე კვირაში უხელფასოდ.

6. ნებადართულ იქნას იმ პირთა მიღება დასწრებულ ასპირან-
ტურაში, რომლებიც მიავლინეს უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამ-
რეწველო საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებ-
მა, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და სხვა ორგანიზა-
ციებმა. ასპირანტურში გაგზავნა განხილულ იქნას, როგორც ზომა
საუკეთესო სპეციალისტთა წახალისებისა კარგი მუშაობისათვის.
იმ პირებს, რომლებიც მივლინებული არიან დასწრებულ ასპირანტუ-
რაში, უნდა ჰქონდეთ, როგორც მინიმუმი, პრაქტიკული მუშაობის
ორი წლის სტაჟი. ასპირანტურადამთავრებული სპეციალისტები
დაბრუნებული იქნებიან იმ ორგანიზაციის განკარგულებაში, რო-
მელმაც ისინი სასწავლებლად მიავლინა.

7. დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალუ-
რი განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა
აკადემიას შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ
სამეცნიერო კადრების მომზადების გაუმჯობესებას ასპირანტურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვეობით, რათა ასპირანტთა უმეტესობამ სწავლების ვადის დაწესებულ ვადებში დაამთავროს ასპირანტურა საკანდიდატო დისერტაციების დაცვით.

8. დაწესდეს, რომ ის პირები, რომლებმაც ჩააბარეს მოცემული სპეციალობით გათვალისწინებული საკანდიდატო გამოცდები, თავისუფლდებიან ასპირანტურაში შესვლის დროს შესასვლელი გამოცდებისაგან, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა წარადგინონ რეფერატი ამორჩეული სპეციალობის მიხედვით.

9. უფლება მიენიჭოს უმაღლეს საატესტაციო კომისიას ნება დართოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საბჭოებს მიიღონ კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაციების თანაბრად, პრესაში გამოქვეყნებული შრომები წარმოებაში დანერგილი ახალი ორიგინალური მანქანების, ორიგინალურად აგებული სამშენებლო ნაგებობებისა და წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ძირეულ ცვლილებათა შეტანის შესახებ.

10. იმ მიზნით, რათა გამოყენებულ იქნან უმაღლეს სასწავლებლებში სამუშაოდ პენსიაზე გადასული მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები, შემოღებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-კონსულტანტების თანამდებობანი. დაწესდეს, რომ კონსულტანტი პროფესორები მოწვეული იქნებიან სამუშაოდ უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეს და ასრულებენ შტატის მუშაკებისათვის დაწესებული დატვირთვის ნახევარს. მიეცეთ კონსულტანტ-პროფესორებს კათედრის პროფესორის თანამდებობრივი განაკვეთის ნახევარი, პენსიის შენარჩუნებით, იმ ანგარიშით, რომ ეს განაკვეთი პენსიასთან ერთად არ აღემატებოდეს 350 მანეთს თვეში.

11. დაევალოს უმაღლეს საატესტაციო კომისიას გააძლიეროს კონტროლი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საბჭოების მუშაობისადმი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის საკითხებზე.

12. ნება დაერთოს უმაღლეს საატესტაციო კომისიას, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და უწყებების წარდგენით, დაამტკიცოს საჭირო შემთხვევებში უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების გაერთიანებული საბჭოები საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების განსახილველად, ამასთან შეიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონ მათ შემადგენლობაში ყველაზე კვალიფიციური სამეცნიერო- და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკები.

13. უფლება მიენიჭოს უმაღლეს საატესტაციო კომისიას, როგორც გამონაკლისი, გაათავისუფლოს საკანდიდატო გამოცდების ნაწილობრივ ან სრულად ჩაბარებისაგან ის პირები, უპირატესად წარმოების მუშაკები, რომლებმაც მეცნიერული შრომები წარადგინეს დისერტაციებად სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

14. დაევალოს უმაღლეს საატესტაციო კომისიას განიხილოს საკითხი, რომ გამოიყოს ტექნიკურ მეცნიერებათა სექციიდან უმაღლესი საატესტაციო კომისიის სამშენებლო და არქიტექტურულ მეცნიერებათა დამოუკიდებელი სექცია.

15. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას მოამზადოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს იმ დადგენილებათა და განკარგულებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის	**სსრ კავშირის**
კომუნისტური პარტიის	**მინისტრთა საბჭო**
ცენტრალური კომიტეტი	

58 რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის საჭირო კოორდინაციის უზრუნველყოფის, სამეცნიერო გამოკვლევათა დაგეგმის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის, აგრეთვე სამეცნიერო სამუშაოთა შესრულებაში ზედმეტი პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით და „ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 აპრილის № 299 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი.

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად პროექტი ბრძანებულებისა ამ საკითხზე.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობას კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში;

ბ) მოახდინოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაცია ტექნიკის დარგში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო გამოკვლევების უწყვეტობა მათი შედეგების დანერგვამდე სახალხო მეურნეობაში;

გ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტები და წარუდგინოს ეს გეგმები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის წლიური გეგმები;

ე) კონტროლი გაუწიოს სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო გამოკვლევათა შესრულებას და ოპერატიული წესით მიიღოს ზომები სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უსწრაფესად დანერგვისათვის;

ვ) მოამზადოს წინადადებანი უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც ახალ აღმოჩენებთან და გამოგონებებთან დაკავშირებით წამოიჭრება;

ზ) შეისწავლოს და განაზოგადოს ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას ეს მიღწევები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე მოამზადოს წინადადებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის წარსადგენად, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირურთიერთობის კოორდინაციის საკითხებზე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საქმეს.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, აგრეთვე მეცნიერების განვითარებაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების პროექტებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე,

თავმჯდომარის მოადგილეები,

კომიტეტის წევრები და

კომიტეტის წევრები თანამდებობის მიხედვით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შექმნას სამეცნიერო საბჭოები ცალკეულ პრობლემებზე, რომელთა შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ დიდი მეცნიერები და სპეციალისტები.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს საჭირო შემთხვევებში, აგრეთვე ცალკეული პრობლემების სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებით შექმნას სამეცნიერო-ტექნიკური კომისიები მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეულ საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა:

ა) უზრუნველყოს სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა და გამოკვლევათა შესრულება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, მეცნიერება სამყაროსა და დედამიწის შესახებ) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში, რათა გამოყენებულ იქნას დამთავრებული სამეცნიერო სამუშაოების შედეგები სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის;

ბ) განახორციელოს მისდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის კოორდინაცია საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თეორიულ პრობლემებზე;

გ) განახორციელოს სამეცნიერო კადრების მომზადება.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს ორი თვის ვადაში მოამზადოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისა და უწყებრივი დაქვემდებარების შესახებ.

8. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავს წინადადებებს ახალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მოწყობის შესახებ, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, იმ ანგარიშით, რომ შემდეგ ეს წინადადებანი წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, საჭიროდ ჩაითვალოს გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი; გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტიდან მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) წინადადებანი კომიტეტის აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ;

ბ) პროექტი დებულებისა კომიტეტის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი 1961 წ. 1 აგვისტო, № 486

59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნისა და პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ მინის-

ტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობაში, ასევე ეგი აწარმოებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეში, ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ ეს ორგანო საკმაოდ არ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, მასებთან და რომ მშრომელთა ფართო წრე სუსტადაა ჩაბმული ადგილებზე კონტროლის განხორციელებაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა სახალხო მეურნეობის ამოცანები და საჭიროა გაძლიერდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება თავიდან ბოლომდე, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი გაძლიერების მიზნით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივლისის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი).

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად პროექტი ბრძანებულებისა ამ საკითხზე.

2. შეიქმნას აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო კონტროლის ჯგუფები. საკონტროლო ჯგუფები თავიანთ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის კომისიის ხელმძღვანელობით.

3. იმისათვის, რომ გაძლიერდეს სახელმწიფო კონტროლის კომისიის კავშირურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და უფრო ფართოდ იქნან ჩაბმული მშრომელები საკონტროლო მუშაობაში მონაწილეობისათვის, მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

ა) მოეწყოს აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შტატგარეშე საზოგადოებრივ კონტროლიორთა ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ ადგილებზე სახელმწიფო კონტროლის ორგანოების დავალებებითა და ხელმძღვანელობით;

ბ) შეიქმნას სახელმწიფო კონტროლის საოლქო და რესპუბლიკურ (ასსრ) ჯგუფებთან საზოგადოებრივი საბჭოები საბჭოთა, პროფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა და წარმოების მოწინავეთა შემადგენლობით.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია, საქართველოს სსრ მთავრობის სახელით, ახორციელებს იმის შემოწმებას, თუ როგორ სრულდება ფაქტიურად მთავრობის გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის, ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვასა და მათი მოვლა-პატრონობის საქმეში სახელმწიფო დისციპლინის დაცვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე; შეამოწმებს, თუ როგორ სრულდება მთავრობის მიერ დაწესებული გეგმები მასალების, მოწყობილობის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მიწოდებისა საზოგადოებრივ ფონდში და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების წესით; კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და სახელმწიფო ანგარიშგების მდგომარეობას, აწარმოებს ბრძოლას სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებების, მოტყუებისა და თვალისახვევის აღმოფხვრისათვის, კუთხურობისა და უწყებრიობის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ; შეამოწმებს მუშაობას მმართველობის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირებისათვის.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის კომისია და მისი ადგილობრივი ორგანოები თავიანთ მუშაობას ეწევიან პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით, ამასთან ეყრდნობიან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მასობრივ საზოგადოებრივ კონტროლს, ფართოდ იზიდავენ შემოწმებისათვის მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს.

6. დაწესდეს, რომ სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი ორგანოები იღებენ ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ამ მიზნით შემოწმების შედეგებს შეიტანენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერაციული ორგანიზაციების განსახილველად, ხოლო საჭირო შემთხვევებში განიხილავენ სამეურნეო აქტივებზე, მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კრებებზე და გააშუქებენ პრესაში.

მთავრობის განსახილველად შეიტანენ მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებიც მის გადაწყვეტილებას საჭიროებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აღმოფხვრან აღმოჩენილი დარღვევები და ნაკლოვანებანი და შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას.

7. დაევალოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას, პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს:

ა) დააკომპლექტონ სახელმწიფო კონტროლის კომისიის საოლქო ჯგუფები პოლიტიკურად მომზადებული, კვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც უნარი შესწევთ საქმით განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, ბრძოლა გამოუცხადონ სახელმწიფო დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს და ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელები შეყვანილ იქნან ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ნომენკლატურაში;

ბ) განახორციელონ საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი შტატგარეშე კონტროლიორთა შემადგენლობის შესარჩევად, გაგზავნონ მათ შემადგენლობაში აქტივისტები მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა, სპეციალისტთა და საზოგადოებრიობის ფართო წრეების სხვა წარმომადგენელთა რიცხვიდან, რომლებიც სარგებლობენ ნდობითა და ავტორიტეტით მშრომელთა კოლექტივებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 1 აგვისტო, № 487

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსი

60 საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ

„საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

F 9484

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ, დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების აღმასკომებსა და პროფკავშირთა შესაბამის ტერიტორიულ კომიტეტებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს განახორციელონ 1961 წლის ნოემბრიდან საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა გადაყვანა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, რომლებიც ითვალისწინებენ მათი ხელფასის პირდაპირ დამოკიდებულებას წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე და მატერიალურ წახალისებას კარგი მუშაობისათვის — წარმოების გეგმების, დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, მუშაობის გამოცდილების საფუძველზე, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად:

ა) წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაუდიდდეს პრემიების ოდენობა შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი ნედლეულის და სხვა უმნიშვნელოვანესი კულტურების მოყვანაზე დასაქმებულ მუშებს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 30 პროცენტამდე, რათა შემდგომ შეთანხმებულ იქნას ეს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან;

ბ) წინადადებანი საჭიროების დროს (მუშათა სურვილისამებრ) ფულადი დამატებითი საზღაურისა და პრემიების ნაწილის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით გაცემისა და ნატურალური საზღაურის ოდენობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაჯილდოებულ იქნენ მეურნეობის საბამის პროფესიულ ორგანოებთან შეთანხმებით საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები წელიწადში თვიური განაკვეთის ოდენობით მასობრივი პროფესიების კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოწინავე აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხების პრაქტიკულად გამოყენების სწავლების სანიმუშოდ დაყენებისათვის, საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში უხვი მოსავლის ბრიგადების მიღწევების დანერგვისათვის მიწათმოქმედებაში და მაღალი პროდუქტიულობის ბრიგადებისა—მეცხოველეობაში. პრემია გაიცემა იმ პირობით, თუ საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

დაჯილდოება უნდა წარმოებდეს ხელფასის იმ ფონდების ხარჯზე და ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

4. უფლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსა და მის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით გაუდიდონ საჭიროების დროს ახალმოწყობილ საბჭოთა მეურნეობებში 2-3 წლით თანამდებობრივი განაკვეთები (საანგარიშსწორებო სარგო) ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მთავარ ბუღალტერს 1-3 ჯგუფით მოცემული წლისათვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმურ მოცულობასთან შედარებით, აგრეთვე შეუნარჩუნონ 2-3 წლის განმავლობაში თანამდებობრივი განაკვეთები იმ მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილი არიან ისეთ მეურნეობათა განსამტკიცებლად, სადაც სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა ნაკლებია.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ სატარიფო განაკვეთები (სარგო) გაუდიდდათ საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ ბრუცელოზით დაავადებულ პირუტყვს — 15 პროცენტით, ხოლო იმ მუშაკებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ პირუტყვს სამომთაბარო საძოვრებზე — 40 პროცენტით, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ [illegible] სასაძოვრო მასივები ჩაითვალოს სამომთაბარო საძოვრებად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წინადადება იმის შესახებ, რომ გავრცელდეს საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკებზე შრომის ანაზღაურების პირობები, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 927 დადგენილებით, ხელფასის დაწესებული ფონდების ფარგლებში, რათა შემდგომ შეთანხმებულ იქნას იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს 1961 წლის 1 აგვისტოსათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ხელფასის საჭირო დამატებითი ფონდის გაანგარიშებანი (წლისათვის გაანგარიშებით), საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი. 1961 წ. 25 ივლისი, № 484

მუბ. 60

ასლი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა № 542

1961 წლის 15 ივნისი

საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობების სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებით, უზრუნველყოფილ იქნას მაღალხარისხოვანი იაფი კვების პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების განუწყვეტელი ზრდა მრეწველობისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განხორციელდეს 1961 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობების სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა გადაყვანა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, რომლებიც ითვალისწინებენ მათი ხელფასის პირდაპირ დამოკიდებულებას წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე და მატერიალურ წახალისებას კარგი მუშაობისათვის — წარმოების გეგმების, დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებამდე, კონკრეტულ ვადებს დააწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით, 1961 წლისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის საფუძველზე.

2. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშათა შრომის ანაზღაურება ხდება წარმოების პირობების მიხედვით, შრომის ანაზღაურების სააკორდო-საპრემიო. სანარდო-საპრემიო და დროებრივ-საპრემიო სისტემის მიხედვით, დაწესებული ნორმებისა და შეფასებათა საფუძველზე.

მუშათა შრომის ანაზღაურება მათ მიერ სამუშაოს შესრულებისათვის მოხდეს იმ სატარიფო განაკვეთებით, რომლებიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით.

გამომუშავების ნორმები (ცხოველთა მომსახურების), შეფასებანი პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოებისათვის შემუშავებულ უნდა იქნას პროფკავშირის მუშათა კომიტეტებთან შეთანხმებით და დამტკიცდეს ზემდგომი ორგანიზაციების მიერ.

გამომუშავების (მომსახურების) ნორმის დონის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვები და ტექნიკის რაც შეიძლება უფრო სრულად გამოყენება.

სამინისტროები, სამმართველოები, საბჭოთა მეურნეობების ტრესტები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, უწყებები მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ იმას, რომ არ იქნას დაშვებული სხვაობა ანალოგიურ სამუშაოთა ნორმებისა და შეფასებათა დონეში ერთნაირი საწარმოო პირობების დროს.

3. მემცენარეობასა და მეცხოველეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა შრომის ანაზღაურება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს წარმოებული პროდუქციის ცენტნერისათვის (ერთეულისათვის) ან მისი ღირებულებისათვის ფულადი გამოხატულებით ფაქტიურ სარეალიზაციო ფასებში.

იმ დარგებში, რომლებშიაც პროდუქცია მზადდება მთელი წლის განმავლობაში, ხელფასი გაიცემა თვიური შედეგების მიხედვით. მიღებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხისათვის ან პროდუქციისა და პირუტყვის მომსახურებისათვის.

4. პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის მუშათა მეცნიერული ლური წახალისების მიზნით, დაწესდეს შრომის ანაზღაურება პროდუქციის ერთეულისათვის შემდეგი ანგარიშით: მემცენარეობაში — სატარიფო განაკვეთის 125 პროცენტი და მეცხოველეობაში — 115 პროცენტი. ამასთან შეფასებანი პროდუქციისათვის განისაზღვრება პროდუქციის წარმოების დაწესებული გეგმის საფუძველზე.

პროდუქციისათვის ანგარიშსწორებამდე შრომის ანაზღაურება მემცენარეობაში, აგრეთვე მეცხოველეობის იმ დარგებში, სადაც პროდუქცია შემოდის პერიოდების მიხედვით (მეცხვარეობაში, ასხლეტამდე გოჭების გამოზრდაზე, პირუტყვის საძოვრულ სუქებაზე და სხვ.) წარმოებს იმ სატარიფო განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით, სამუშაოთა შესრულებული მოცულობისათვის.

მემცენარეობაში მოსავლის აღების (პროდუქციის მიღების) შემდეგ, ხოლო მეცხოველეობაში კვარტალისათვის ან პროდუქციის წარმოების (საძოვრული ნასუქობა, გასუქება და სხვა) პერიოდების მიხედვით მუშებს მიეცემათ განსხვავება შესრულებული სამუშაოებისათვის (პირუტყვის მომსახურება) წლის (ან პერიოდის) განმავლობაში მიცემულ ხელფასსა და პროდუქციისათვის დარიცხულ ხელფასს შორის.

5. მწიფე მარცვლად და სასილოსედ სიმინდის წარმოების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მუშათა შრომის ანაზღაურება პროდუქციის ერთეულისათვის მოხდეს სატარიფო განაკვეთის 150 პროცენტის ანგარიშიდან. გარდა ამისა, დაწესდეს:

ა) დამატებითი საზღაური (წახალისება) სიმინდის თესვის მაღალი ხარისხისათვის (კარგი აღმოცენების მიღება და სწორი კვადრატები), რიგთაშორისი დამუშავებისა და გამოკვების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის, თუ შენარჩუნებულია მცენარეთა დაწესებული რაოდენობა ჰექტარზე, და სხვა უმნიშვნელოვანესი სამუშაოების შესრულებისათვის — სეზონში თვენახევრის სანარდო გამომუშავების ფარგლებში;

ბ) პრემიის მიცემა სიმინდის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის — ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 30 პროცენტამდე (სარეალიზაციო ფასებში).

სასილოსე სიმინდის მოსავლიანობა განისაზღვრება ფაქტიურად ჩადებული და შემოსავალში გატარებული სასილოსე მასის მიხედვით.

6. დაწესდეს იმ მუშათა შრომის დამატებითი საზღაური (წახალისება), რომლებიც დასაქმებული არიან მარცვლის, შაქრის ჭარხლის, ბამბის, კარტოფილის, ზეთოვანი, ბოსტნეული და სხვა კულტურების მოყვანის სამუშაოებზე:

თესვის მაღალი ხარისხისათვის, თუ მიღებულია კარგი აღმონაცენი, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივი თესვისა და დარგვის დროს — აგრეთვე სწორი კვადრატები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ჩატარდეს მექანიზებული დამუშავება ორი მიმართულებით;

რიგთაშორისი დამუშავების ჩატარებისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, როდესაც სამუშაოები მაღალხარისხოვნადაა შესრულებული და შენარჩუნებულია მცენარეთა დაწესებული რაოდენობა ჰექტარზე, აგრეთვე სხვა უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებისათვის.

მუშაობის ხარისხს, შესრულებული სამუშაოს ვადებსა და მოცულობას შრომის დამატებითი საზღაურისათვის (წახალისებისათვის) განსაზღვრავს კომისია დირექტორის, აგრონომისა და პროფკავშირის მუშათა კომიტეტის წარმომადგენლის შემადგენლობით.

ერთი მუშაკისათვის შრომის დამატებითი საზღაურის (წახალისების) საერთო თანხა აღნიშნული სამუშაოებისათვის არ უნდა აღემატებოდეს სეზონში თვიურ, ხოლო სათოხნი კულტურებისათვის — თვენახევრის სანარდო გამომუშავებას.

7. დაწესდეს მუშების, ბრიგადების, რაზმებისა და რგოლების დაჯილდოება:

მემცენარეობასა და მეცხოველობაში ბრიგადის, რაზმის, რგოლის ან ცალკეული მუშების მიერ საერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მისი ხარისხის გათვალისწინებით (რძის ცხიმიანობის გადიდება, ხორცის კონდიციების გაუმჯობესება და სხვა) — ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 20 პროცენტამდე (სარეალიზაციო ფასებში);

პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი დანახარჯების შემცირებისათვის ან გეგმასთან შედარებით მისი თვითღირებულების შემცირებისათვის — მემცენარეობაში მიღებული ეკონომიის თანხის 25 პროცენტისა და მეცხოველეობაში — 40 პროცენტის რაოდენობით.

შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა უმნიშვნელოვანესი კულტურების მოყვანაზე დასაქმებული მუშებისათვის პრემიების ოდენობა შეიძლება გაადიდონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 30 პროცენტამდე.

ბრიგადებისა, რაზმებისა, რგოლებისა ან ცალკეული მუშებისათვის პრემიების კონკრეტულ ოდენობას დააწესებენ მეურნეობათა ხელმძღვანელები პროფკავშირის მუშათა კომიტეტებთან შეთანხმებით დიფერენციულად, წარმოების დარგების თავისებურებათა და მუშაობის სხვა პირობების მიხედვით.

მეცხოველეობაში პრემიები შეიძლება გაიცეს კვარტალში ან პროდუქციის წარმოების (საძოვრული ნასუქობა, გასუქება, მოზარდეულის გამოზრდა და სხვა) პერიოდების კვალობაზე მუშაობის შედეგების მიხედვით.

ბრიგადებში, რაზმებსა და რგოლებში მუშებს პრემიები დაერიცხებათ მათი ხელფასის პროპორციულად, რაც მათ მიეცათ იმ პერიოდში, რომლისთვისაც წარმოებს პრემიის მიცემა.

8. წარმოების ნოვატორების—მწველავების, მეღორეების, მწყემსების, მეფრინველეებისა და სხვა მუშების წასახალისებლად, რომლებიც შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენებით გადადიან პირუტყვისა და ფრინველის უფრო დიდი რაოდენობის მომსახურებაზე და აღწევენ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, დაწესდეს, რომ თუ მოსავლელი სულადობის რაოდენობა გადიდებულია ერთნახევარჯერ და უფრო მეტჯერ — სატარიფო განაკვეთები შრომის ანაზღაურებისათვის გადიდდება 5 პროცენტამდე ნორმის გადამეტების ყოველ 10 პროცენტში, მაგრამ არა უმეტეს ორმაგი რაოდენობისა. იმ მემანქანეტრაქტორისტთა შრომის ასანაზღაურებლად სანარდო შეფასებათა განსაზღვრის დროს, რომლებიც იმავდროულად მუშაობენ რამდენიმე კომბაინზე ან სამკელზე, სატარიფო განაკვეთი გადიდდება 40—60 პროცენტით თითოეული დამატებითი მანქანის მომსახურებისათვის.

9. ვინაიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის აღებას უდანაკარგოდ და მჭიდრო ვადებში, დაწესდეს ამ სამუშაოებზე შრომის გადიდებული საზღაური შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემანქანე-ტრაქტორისტებს, რომლებიც დასაქმებული არიან მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების, სამარცვლე და სასილოსე სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილის აღებაზე, ბალახთა სათესლეებისა და შაქრის ჭარხლის სათესლეების აღებაზე ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის, ურალისა და ვოლგისპირეთის ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებში, შეფასებანი გაუდიდდეს 50 პროცენტით, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 30 პროცენტით;

მემანქანე-ტრაქტორისტებს, რომლებიც დასაქმებული არიან სხვა კულტურების აღებაზე, აგრეთვე მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან მოსავლის აღების სამუშაოებსა და საკვების დამზადებაზე ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის, ურალისა და ვოლგისპირეთის ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებში, შეფასებანი გაუდიდეს 30 პროცენტით, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 15 პროცენტით.

აღნიშნულ გადიდებულ შეფასებებს დააწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განსაზღვრული პერიოდისათვის, რომლის განმავლობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოსავლის აღება უდანაკარგოდ.

10. მექანიზატორთა კადრების დამაგრების და იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მათი დაინტერესება კვალიფიკაციის ამაღლებით, ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენებითა და მოვლა-შენახვით, დაწესდეს I, II და III კლასების მემანქანე-ტრაქტორისტის ერთიანი პროფესია და მიეცეთ მათ სანარდო გამომუშავების დანამატები მექანიზებულ სამუშაოებზე: მემანქანე-ტრაქტორისტს I კლასისა — 20 პროცენტი და II კლასისა — 10 პროცენტი.

მიეცეთ წელიწადში ერთხელ (მინდვრის სამუშაოების დამთავრების შემდეგ) მემანქანე-ტრაქტორისტებს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლა-შენახვისა და კარგად გამოყენებისათვის იმ სახსრების ეკონომიის თანხის 40 პროცენტი, ხოლო ბრიგადებსა და მათ თანაშემწეებს — 10 პროცენტი, რაც გათვალისწინებულია ნორმებით ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის, იმ პირობით, თუ შესრულებულია სამუშაოთა მოცულობა პერიოდების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმიმბმელოდ მუშაობისათვის, სადაც იგი უნდა მუშაობდეს, აგრეთვე სამუშაოთა შემთავსებლობის დროს ტრაქტორისტებს მიეცემათ დანამატები სანარდო გამომუშავების 20 პროცენტის ოდენობით.

11. დროებრივ მუშათა შრომის ანაზღაურება ხდება სრული სატარიფო განაკვეთებით, ხოლო დანამატი პროდუქციისათვის წლის შედეგების მიხედვით და პრემიები, რომლებიც ძირითად მუშებს ერიცხებათ, მათ არ მიეცემათ. მეურნეობათა დირექტორებს ენიჭებათ უფლება აძლიონ პრემია დროებრივ მუშებს შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის სანარდო გამომუშავების 20 პროცენტამდე.

12. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საჭიროების დროს (მუშათა სურვილით) ფულადი დამატებითი საზღაურისა და პრემიების ნაწილი გასცენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით.

13. ბრიგადირთა შრომის ანაზღაურება მოხდეს იმ წესით, რაც დადგენილია მუშებისათვის, მემანქანე-ტრაქტორისტთა დროებრივი განაკვეთების III—IV თანრიგების საფუძველზე, რომლებიც დაწესებულია პირველი ჯგუფის რაიონებისათვის, ხოლო ყამირი და ნასვენი მიწების რაიონების საბჭოთა მეურნეობებში ბრიგადირებისათვის მემცენარეობაში — მემანქანე-ტრაქტორისტთა დროებრივი განაკვეთების მესამე ჯგუფის მიხედვით.

საბჭოთა მეურნეობებში, სადაც არ მოიპოვება განყოფილებები და ფერმები, ხოლო ბრიგადირები ფაქტიურად ასრულებენ მმართველების მოვალეობას, ბრიგადირების შრომის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს საანგარიშსწორებო განაკვეთებით, რაც დაწესებულია განყოფილებებისა და ფერმების მმართველებისათვის წარმოებული პროდუქციის მოცულობის შესაბამისად.

ბრიგადირებს, რომლებიც გათავისუფლებული არ არიან ძირითადი სამუშაოსაგან, მიეცეთ დანამატი ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის მათი სანარდო გამომუშავების 25 პროცენტამდე, რაზმების უფროსებს — 20 პროცენტამდე, ხოლო მერგოლურებსა და უფროს მუშებს — 15 პროცენტამდე.

ბრიგადირების განთავისუფლებულ თანაშემწეებს მიეცეთ ბრიგადირის ხელფასის 60—80 პროცენტი.

14. შენარჩუნებულ იქნას საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების მოქმედი წესი წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული და რეალიზებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასდენობისა და ხარისხის მიხედვით, რომლის დროსაც მათ მიეცემათ ყოველთვიურად საგარანტიო მინიმუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით დაწესებული ხელფასის საანგარიშსწორებო განაკვეთის 70 პროცენტის ოდენობით და დაემატება განაკვეთის 30 პროცენტი წარმოებული და რეალიზებული პროდუქციისათვის.

ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა თანამდებობრივი განაკვეთები (საანგარიშსწორებო სარგო) შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს 10 პროცენტით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის ფარგლებში, შესასრულებელი სამუშაოს სირთულისა და მოცულობის და მუშაკის კვალიფიკაციის მიხედვით.

დირექტორებს, მთავარ სპეციალისტებს და მთავარ ბუღალტრებს ხელფასს მოუმატებს ან დაუკლებს ზემდგომი ორგანიზაცია, ხოლო დანარჩენ მუშაკებს — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი პროფკავშირის მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით.

უფლება მიენიჭოთ საბჭოთა მეურნეობების სამმართველოებსა და ტრესტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხარეო აღმასკომებთან და საოლქო აღმასკომებთან შეთანხმებით, ახალმოწყობილ საბჭოთა მეურნეობებში საჭიროების მიხედვით გაუდიდონ 2—3 წლით თანამდებობრივი განაკვეთები (საანგარიშსწორებო სარგო) ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებს და მთავარ ბუღალტერს 1—3 ჯგუფით მოცემული წლისათვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმურ მოცულობასთან შედარებით, აგრეთვე შეუნარჩუნონ 2—3 წლის განმავლობაში თანამდებობრივი განაკვეთები იმ მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან იმ მეურნეობათა განსამტკიცებლად, სადაც ნაკლებია რეალიზებული პროდუქციის მოცულობა.

15. იმ დიდი განყოფილებებისა და ფერმების მმართველებს, სადაც საერთო პროდუქციის მოცულობა წელიწადში 500 ათას მანეთს აღემატება, დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთი (საანგარიშსწორებო სარგო) თვეში 160 მანეთის რაოდენობით.

16. საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა დაჯილდოება მოხდეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების ნახევარი წლისა და წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესაბამისად (განყოფილებებსა და ფერმებში პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის) და ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის.

წლის პირველი ნახევრის გეგმის გადაჭარბებით შესრულების პროცენტი განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების (წარმოების) წლიური გეგმის საფუძველზე.

ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ჩაბარების (წარმოების) ნახევარი წლისა და წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, პრემიები დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთის (საანგარიშსწორებო თვიური სარგოს) 10 პროცენტის ოდენობით პროდუქციის ჩაბარების (წარმოების) გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების (წარმოების) წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიები გაიცეს იმ პირობით, თუ შესრულებულია კონტრაქტაციის (ან შესაბამისად წარმოების) ხელშეკრულებით დაწესებული დავალებანი მარცვლისა და ხორცისათვის, ხოლო სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში, გარდა ამისა ძირითადი დარგის პროდუქციისათვის. ამასთან სავალდებულოა შრომის ნაყოფიერებისა და მოგებათა გეგმის შესრულება.

პრემიები ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის გაიცემა ზეგეგმითი მოგების თანხის 10 პროცენტამდე; მეურნეობებში, რომლებშიაც მოგება გეგმით არ არის გათვალისწინებული, გაიცემა პრემია გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებული ეკონომიის 10 პროცენტის ოდენობით. ამ პრემიების დარიცხვა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის მოხდეს თვითეული მუშაკის წლიური საანგარიშსწორებო სარგოს (თანამდებობრივი განაკვეთის) პროპორციულად. აღნიშნული პრემიები გაიცემა იმ პირობით, თუ შესრულებულია სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების წლიური გეგმა.

ცალკეულ მეურნეობებში პრემიების კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მარც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლის, სიმინდის, ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გეგმით დაწესებული მოსავლიანობა, ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიწის სავარგულების ას ჰექტარზე დაგეგმილი მიღება, დაწესებული ხარისხის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა, რაც აღნიშნულია კონტრაქტაციის ხელშეკრულებაში.

17. უფლება მიენიჭოთ საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, დააჯილდოონ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები წელიწადში თვიური განაკვეთის ოდენობით მასობრივი პროფესიების კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოწინავე აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხების პრაქტიკულად გამოყენების სწავლების სანიმუშოდ დაყენებისათვის, საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში უხვი მოსავლის ბრიგადების მიღწევების დანერგვისათვის მიწათმოქმედებაში და მაღალი პროდუქტიულობის ბრიგადებისა — მეცხოველეობაში. პრემია გაიცემა იმ პირობით, თუ საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

დაჯილდოება უნდა წარმოებდეს ხელფასის იმ ფონდების ხარჯზე და ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია მოკავშირე რესპუბლიკების (რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო აღმასკომების და საოლქო აღმასკომების მიერ.

18. დაწესდეს, რომ მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა დაჯილდოება წარმოებს ხელფასის ფონდის ხარჯზე, რაც არ უნდა აღემატებოდეს თითო მუშაკზე წელიწადში 5 განაკვეთს (თვიურ ხელფასს), ხოლო ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებში — 6 განაკვეთს.

19. საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა სატარიფო განაკვეთები (სარგო), რომლებიც მომსახურებას უწევენ ბრუცელოზით დაავადებულ პირუტყვს, გადიდდება 15 პროცენტით, ხოლო რომლებიც მომსახურებას უწევენ პირუტყვს სამომთაბარო საძოვრებზე — 40 პროცენტით. საძოვრების მიკუთვნება სამომთაბარო საძოვრებზე წარმოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო, ოლქმასკომების და საოლქო ალმასკომების მიერ.

20. უფლება მიენიჭოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს პროფკავშირის მუშათა კომიტეტებთან შეთანხმებით საველე სამუშაოების ყველაზე დაძაბულ პერიოდში დააწესონ სამუშაო დროის თვიური აღრიცხვა.

სამუშაო საათების ნორმალური თვიური რაოდენობის ზევით გამომუშავებული დრო ანაზღაურებულ იქნას დადგენილი წესით.

21. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს ამ დადგენილების საფუძველზე ორი კვირის ვადაში დაამტკიცონ დებულებანი საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

22. ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით შემოიღონ საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკებისათვის შრომის ანაზღაურების პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 927 დადგენილებით, ხელფასის დაწესებული ფონდების ფარგლებში.

23. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით:

ა) დააწესონ მაჩვენებლები იმისათვის, რომ მიკუთვნებულ იქნან საბჭოთა მეურნეობების ტრესტები ამ ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე;

ბ) დაამტკიცონ საანგარიშსწორებო სარგო და თანამდებობრივი განაკვეთები იმ თანამდებობებისათვის, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 927 დადგენილებით;

გ) დაამტკიცონ დებულება საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ მათდამი დაქვემდებარებული საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის (ზეგეგმითი მოგების მიღება ან საბჭოთა მეურნეობების პროდუქ-

ციის თვითღირებულების შემცირება) შესაბამისად ტიპობრივი დებულებისა საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილების თანახმად.

დაწესდეს, რომ პრემიის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საანგარიშსწორებო სარგოს (თანამდებობრივი განაკვეთის) 0,3-ს თვეზე გაანგარიშებით.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მიაჩნიათ, რომ მატერიალური სტიმულირების ამ დადგენილებით გათვალისწინებული ფორმებისა და მეთოდების ყოველნაირად გამოყენება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვან პირობას.

დაევალოთ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, სამინისტროებს, საბჭოთა მეურნეობების სამმართველოებსა და ტრესტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, უწყებებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ჩაატარონ საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება მაღალ დონეზე, ამასთან შემოიღონ შრომის ანაზღაურების ახალი პირობები ძირითადად სახსრების მომჭირნეობის ხარჯზე, რაც მიღებულია წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების, შრომის ნორმირების გაუმჯობესების, შტატებში ზედმეტობის აღმოფხვრის, წვრილი ბრიგადების, ფერმების და განყოფილებების გამსხვილების შედეგად.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესების ახალი ზომები, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემდგომი ყოველმხრივი გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**	**პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

61 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 ივლისის № 504 დადგენილების დანართებში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „ქ. თბილისში კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 ივლისის № 504 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ, დებულების მე-7 მუხლში სიტყვა „დაბის“ შეიცვალოს სიტყვით „რაიონის“ და მე-8, მე-9, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 მუხლებში კი სიტყვა „სადაბო“ — სიტყვით „რაიონული“.

2. იმავე დებულების მე-16 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სათანადო ნებართვის გარეშე აშენებისათვის მოქალაქეები მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221 მუხლის შესაბამისად, ხოლო თვითნებურად მიტაცებულ მიწის ნაკვეთებზე სახლების აშენებისათვის კი — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180 და 221 მუხლების (ერთობლიობით) შესაბამისად.“

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 ივლისის № 504 დადგენილებით დამტკიცებულ „წესში საშენი მასალების შეძენისა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში“ შეტანილ იქნას შესწორება: მეორე მუხლში სიტყვა „სადაბო“ შეიცვალოს სიტყვით „რაიონული“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 7 ივლისი № 422

ეროვნული ბიბლიოთეკა

62 1961 წლისათვის მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლისა და ბალახთა თესლის კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს 1961 წლისათვის მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლისა და ბალახთა თესლის კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულების ფორმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 ივლისი, № 426

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 14 ივლისის № 426
დადგენილებით

ტიპობრივი ხელშეკრულება

მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლისა და ბალახების თესლის კონტრაქტაციისა 196——— წლისათვის

196———წლის ——————

სოფელი
ქალაქი (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება)

(კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების დასახელება)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ——————————————ოლქის (მხარე, ასსრ), შემ-

დეგში „მეურნეობად“ წოდებულმა, ——————————————
(აღინიშნოს თანამდებობა)

სახით, რომელიც მოქმედებს მინდობილობით, რაც გაცემულია——
(დასახელება

——————————————————————————
ორგანიზაციისა, რომელმაც მინდობილობა გასცა, მინდობილობის № და გაცემის თარიღი)

მიმღებმა პუნქტმა (საწარმომ) ——————————————
(აღინიშნოს პუნქტის დასახელება)

რაიონი —————————————— ოლქი (მხარე, ასსრ), შემდეგში

„კონტრაქტანდად„ წოდებულმა, —————— სახით, რომელიც
(აღინიშნოს თანამდებობა)

მოქმედებს მინდობილობით, რაც გაცემულია ——————.
(დასახელება ორგანიზაციისა, რომელმაც

——————————————————————————
მინდობილობა გასცა, მინდობილობის № და გაცემის თარიღი)

და შესყიდვის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა ——————.

—————— (რაიონებში) ამხ. ——————, რომელიც მოქმედებს

თანახმად დებულებისა შესყიდვის რაიონული (სარაიონთაშორისო) მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ, დავდეთ ეს ხელშეკრულება იმაზე, რომ მეურნეობა მიჰყიდის (ჩააბარებს, გადაცვლის) სახელმწიფოს 196 —— წელს მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიან თესლსა და ბალახების თესლს.

მეურნეობის ვალდებულებანი

ჯიშიანი თესლის დამზადების სახელმწიფო გეგმის საფუძველზე მეურნეობა კისრულობს:

1. ჩააბაროს (მიყიდვისა და გადაცვლის წესით) სახელმწიფოს საჯიშე და სათესლე ხარისხის შესახებ არსებულ თანმხლებ დოკუმენტებიანად მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლი და ბალახთა თესლი შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა	ჯიში	რეპროდუქცია	რაოდენობა ცენტნერობ.	ჩაბარების ვადა

2. გამოიყენოს აგროტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი, მიმართული ჯიშიანი თესლის მოსავლიანობის გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, კერძოდ:

ა) დაიცვას ყველა პირობა, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას თესლის სიწმინდე სხვა ჯიშებითა და კულტურებით მისი დანაგვიანებისაგან შენახვის, თესვის, აღების, გალეწვის, შრობის, გაწმენდისა და ჩაბარების დროს, აგრეთვე დაიცვას ჯვარედინმტვერია კულტურათა ნათესების დაწესებული სივრცობლივი იზოლაცია იმავე კულტურების სხვა ჯიშების ნათესებისაგან;

ბ) ჩაატაროს სათესლე ნაკვეთებზე გულმოდგინე მარგვლა, მათი გაწმენდა სხვა ჯიშებისა და კულტურების ნარევებისაგან;

გ) არ დაუშვას თესლის ჩახურება და გაფუჭება;

დ) ——————————————————

3. ბალახთა თესლის გაყიდვის უზრუნველსაყოფად გამოყოს

196——— წელს ——————— ჰექტარი ბალახთა სათესლე.

4. დროზე ჩაატაროს ყველა ჯიშიანი ნათესის საველე აპრობაცია და სახელმწიფოსათვის შესაბამისი კულტურებისა და ჯიშის თესლის ჩაბარების დაწყებამდე გადასცეს პურის მიმღებ პუნქტს აპრობაციის აქტები.

5. ჩააბაროს პურის მიმღებ პუნქტს მარცვლეული კულტურების თესლი ჯიშობრივი სიწმინდის არა ნაკლებ II კატეგორიისა, რომელიც აკმაყოფილებს სათესლე სტანდარტის ნორმებს, ან არ არის აყვანილი ამ ნორმამდე სიწმინდისა და ტენიანობის მხრივ, მაგრამ პურის დამზადების შეზღუდვითი კონდიციების ფარგლებშია.

სიწმინდისა და ტენიანობის მხრივ სათესლე სტანდარტის ნორმებამდე აუყვანელი თესლი უნდა იყოს ჯანსაღი, ნორმალური ფერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და სუნისა, მავნებლებით დაუავადებელი (გარდა ტკიპასი, რომლითაც დაავადება დასაშვებია პირველ სტადიაში) და განუყოფელი ნარევებით დანაგვიანებული იმ ნორმებზე მეტად, რაც გათვალისწინებულია სტანდარტით მესამე კლასის თესლისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ თესლი არ არის სიწმინდისა და ტენიანობის მხრივ აყვანილი სათესლე სტანდარტის ნორმებამდე, მისი ღირებადობა უნდა იყოს სათესლე სტანდარტის არა ნაკლებ მესამე კლასის ნორმებისა.

ჯიშიანი თესლი (გარდა საგაზაფხულო კულტურების ელიტისა და საშემოდგომო კულტურების იმ ელიტური თესლისა, რაც არ ყოფილა გამოყენებული მოსავლის აღების წელს) შეიძლება ჩაბარდეს მისი სიცოცხლისუნარიანობის მიხედვითაც, რასაც განსაზღვრავს მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორია, ან პურის მიმღები პუნქტის ლაბორატორია.

6. ჩააბაროს ამ ხელშეკრულებით გასაყიდი ბალახთა თესლი, ხარისხით მოქმედი სათესლე სტანდარტის არანაკლებ მესამე კლასისა.

7. ჩაბარებული ჯიშიანი თესლი მიიტანოს ——————— პურის მიმღებ პუნქტში.

8. დაფაროს პურის მიმღები პუნქტიდან მიღებული ფულადი ავანსი, ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

კონტრაქტანტის ვალდებულებანი

კონტრაქტანტი კისრულობს:

9. მისცეს მეურნეობას თესვის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა ——————— პუნქტიდან 196 ——— წელს დასათესად შემდეგი რაოდენობის ჯიშიანი თესლი, რომელიც სათესლე ხარისხის მხრივ შეესაბამება სათესლე სტანდარტების ნორმებს:

კულტურა	ჯიში	რეპროდუქცია	ჯიშობრივი სიწმინდის კატეგორია	რაოდენობა ცენტნერობ.	თესლის გაცემის პირობები (გადაცვლა, გაყიდვა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში აღნიშნული თესლის გაცემა აწარმოოს დაპლომბილი ტომრებით, ამასთან თვითეული ტომრის შიგნით უნდა იქნას ჩადებული და გარედან დაკიდებული დაწესებული ფორმის ეტიკეტები. ტომრები, რომლებშიაც ჩაყრილია ყველა კულტურის სუპერელიტის, ელიტისა და პირველი რეპროდუქციის თესლი, აგრეთვე II და შემდგომი რეპროდუქციის დეფიციტური

ჯიშების თესლი ——————————————————

(დეფიციტური ჯიშების დასახელება)

მისცეს მეურნეობას დაუბრუნებლად, დაწესებულ სახელმწიფო ფასებში მიყიდვის წესით; ქსოვილის ტომრები, რომლებშიაც ჩაყრილია დანარჩენი თესლი, მისცეს დაბრუნების ვალდებულებით, დადგენილი წესით.

11. მისცეს კოლმეურნეობას ფულადი ავანსი მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების იმ ჯიშიანი თესლის ღირებულების 30 პროცენტის ოდენობით, რაც ჩაბარებულ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისი რეპროდუქციის ჯიშობრივი სიწმინდის II კატეგორიის დაუხარისხებელი თესლისათვის ჯიშობრივი დანამატის ჩათვლით, ხოლო ბალახთა თესლის ხაზით — პირველი კლასის კონდიციური თესლის ღირებულებისა.

ფულადი ავანსი გაიცემა ისე, რომ კოლმეურნეობას არ გადახდება პროცენტები ავანსის სარგებლობისათვის.

ფულადი ავანსი გაიცეს შემდეგ ვადებში:

ხელშეკრულების დადების დროს ———— პროცენტი

თესვის გეგმის შესრულების შემდეგ ————— პროცენტი

თესვიდან ერთი თვის შემდეგ ————— პროცენტი

ამ ავანსის დაკავება მოხდეს ჯიშიანი თესლის თვითეული პარტიის ჩაბარების დროს მისი ღირებულების ————— პროცენტის ოდენობით ავანსის სრულ დაბრუნებამდე.

12. მიიღოს მეურნეობისაგან მის მიერ ჩაბარებული 1961 წლის მოსავლის ჯიშიანი თესლი ამ ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნული რაოდენობით. გარდა ამისა მიიღოს ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნული რაოდენობის ზევით დეფიციტური და პერსპექტიული

ჯიშების ყველა თესლი, რაც წარმოდგენილია ჩასაბარებლად ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(დეფიციტური და პერსპექტიული ჯიშების დასახელება)

13. მეურნეობის მიერ ამ ხელშეკრულების მიხედვით ჩაბარებული მთელი ჯიშიანი თესლი მიიღოს შემდეგ პირობებში:

ა) მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მიღებულ ჯიშიან თესლში გადაუხადოს ძირითადი ღირებულება თესლის ხარისხის შესაბამისად საბჭოთა მეურნეობას ჩაბარების ფასებში, ხოლო კოლმეურნეობას — შესასყიდ ფასებში, რაც ყოველწლიურად დაწესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 ივლისის № 789 დადგენილების შესაბამისად, და, გარდა ამისა, ჯიშობრივი დანამატი, შემდეგი ოდენობით:

კულტურა	ჯიში	რეპროდუქცია	ჯიშობრივი სიწმინდის კატეგორია	ჯიშობრივი დანამატი შესასყიდი ფასის პროცენტულად			
				I კლასი	II კლასი	III კლასი	დაუხარისხებელი (შემზღუდვ. პურის დამზადების კონდიციის ფარგლებში)

შენიშვნები:

1. საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების კონდიციურ თესლში, რომელიც ჩაბარებულია მისი სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით, ჯიშობრივი დანამატი გაიცემა როგორც ისეთი თესლისათვის, რომელსაც აქვს ღივებადობა სიცოცხლისუნარიანობაზე 3 პროცენტით ნაკლები.

2. მაღალზეთოვანი ჯიშის მზესუმზირას თესლში _____

_____

(მაღალზეთოვანი ჯიშის დასახელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშობრივი დანამატი გაიცემა, გარდა იმ დანამატისა, რაც დაწესებულია მაღალი ზეთიანობისათვის.

3. ჯიშიან თესლში, ისეთი ტენიანობით, რაც აღემატება სათესლე სტანდარტის ნორმას, მაგრამ ყველა დანარჩენი მაჩვენებლის მიხედვით შეესაბამება სათესლე სტანდარტის განსაზღვრულ კლასს, ჯიშობრივი დანამატი გაიცემა როგორც შესაბამისი კლასის თესლისათვის, რაც შემცირდება დაწესებული ოდენობით ტენიანობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა;

ბ) მარცვლეული კულტურების ჯიშიან თესლში, რომელიც ჩაბარებულია გადაცვლის წესით, გადაუხადოს მეურნეობას დაწესებული ჯიშობრივი დანამატი და მისცეს რიგითი მარცვალი _____

_____

(საფურაჟე, იმავსახელობისა)

კულტურებისა ცენტნერი ცენტნერში ჩათვლითი წონით

შენიშვნა:

მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლი გადაცვლის წესით მიიღება კოლმეურნეობებისაგან, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვისა და სესხის დაბრუნების თავიანთი ვალდებულებანი. საბჭოთა მეურნეობებისაგან გადაცვლის წესით მიიღება სასურსათო და საფურაჟე მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლი, რომელიც მათ მიერ გამოყოფილია საფურაჟე ფონდებად;

გ) აუნაზღაუროს მეურნეობას სახელმწიფოსათვის მიყიდული ჯიშიანი თესლის მიტანის ღირებულება მთელი მანძილისათვის მეურნეობიდან ჩაბარების პუნქტამდე, საავტომობილო ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფებით, ხოლო გადაცვლის წესით ჩაბარებულ თესლზე — გადაუხადოს გადაცვლილი თესლის იქით და აქეთ მიტანის ღირებულება ავტოტრანსპორტით მარცვლის გადაზიდვის ერთიანი ტარიფებით.

14. სათესლე სტანდარტის პირველი კლასის ბალახების მიღებულ თესლში გაუსწოროს ფულადი ანგარიში მეურნეობას შემდეგ შესასყიდ ფასებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება	ფასი მანეთობ. 1 ცენტნერში	კულტურების დასახელება	ფასი მანეთობ. 1 ცენტნერში

15. ბალახების ჩაბარებული თესლი, რომლის ხარისხი პირველ კლასზე ნაკლებია, მაგრამ არ არის სათესლე სტანდარტის მესამე კლასზე ნაკლები, აანაზღაუროს მოქმედ ფასებში, ამასთან გამოიყენოს ფასდაკლება სათესლე სტანდარტის პირველი კლასის ნორმებთან შედარებით სიწმინდის ყოველი შემცირებული პროცენტისათვის — 1,5 პროცენტი და ღივებადობის ყოველი შემცირებული პროცენტისათვის — 1 პროცენტი.

16. აძლიოს მეურნეობას, მისი მოთხოვნის თანახმად, საჭირო რაოდენობის ტომრები ყველა კულტურის ელიტის და პირველი რეპროდუქციის თესლის, აგრეთვე დეფიციტური ჯიშების მეორე და შემდგომი რეპროდუქციების კონდიციური თესლის ჩასაყრელად _____

(დეფიციტური ჯიშების დასახელება)

რაც მომზადებულია ჩასაბარებლად. ამ მიზნისათვის ტომრების გაცემა აწარმოოს ვალდებულებით, რომ დაბრუნებული იქნება საწინდრის გადახდევინებით გასაცემ ფასებში.

მხარეთა პასუხისმგებლობა

17. იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობამ არ შეასრულა სახელმწიფოსათვის ჯიშიანი თესლის მიყიდვის ვალდებულებანი, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით, მეურნეობა გადაუხდის კონტრაქტანტს საურავს ვალდებულების იმ ნაწილის ღირებულების 0,01 პროცენტის ოდენობით (შესაბამის ფასებში), რაც არ არის შესრულებული დაწესებულ ვადაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში.

თუ ვადის გადაცილება 10 დღეს აღემატება, საურავის დარიცხვა შეწყდება და მეურნეობა გადაუხდის კონტრაქტანტს დარიცხულ საურავს ზევით საუპიროს ვალდებულების იმ ნაწილის ღირებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 პროცენტის ოდენობით, რაც არ არის შესრულებული დაწესებულ ვადაში.

18. უკეთუ კონტრაქტანტმა ამ ხელშეკრულებით აღნიშნულ ვადაში არ გადაუხადა მეურნეობას მიღებული ჯიშიანი თესლის ღირებულება, იგი გადაუხდის მეურნეობას საურავს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში მიღებული ჯიშიანი თესლის 0,01 პროცენტის ოდენობით (შესაბამის ფასებში).

10 დღეზე მეტი ხნით ვადის გადაცილების დროს საურავის დარიცხვა შეწყდება და კონტრაქტანტი გადაუხდის მეურნეობას დარიცხულ საურავს ზევით საუპიროს დროზე გადაუხდელი თანხის 1 პროცენტის ოდენობით.

19. საურავის, ჯარიმის ან საუპიროს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულების შესრულებისაგან.

სტიქიური უბედურების შემთხვევაში, თუ ეს დადასტურებულია სახდაზღვევის შესაბამისი დოკუმენტით, მეურნეობა თავისუფლდება ამ ხელშეკრულებით მატერიალური პასუხისმგებლობისაგან.

20. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი დავა გადაწყდება დადგენილი წესით.

21. ეს ხელშეკრულება შედგენილია სამ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება მეურნეობაში, მეორე — კონტრაქტანტთან და მესამე — შესყიდვის მთავარ სახელმწიფო რაიონულ (სარაიონთაშორისო) ინსპექტორთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

მეურნეობისა ——————————————————

(კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო-საკვლევი

——————————————————

დაწესებულების დასახელება და მისი საფოსტო მისამართი)

მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიში № ——————

სახელმწიფო ბანკის ——————————————განყოფილებაში

კონტრაქტანტისა ——————————————

——————————————

(პუნქტის (საწარმოს) დასახელება და მისი საფოსტო მისამართი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელის მოწერა:

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ————

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ————

სამეცნიერო-საკვლევი საცდელი

სადგურის დირექტორი ————

კონტრაქტანტი ————

———— რაიონის შესყიდვის მთავარი

სახელმწიფო ინსპექტორი ————

63 შავი ზღვის სანაპიროს კილომეტრნახევრიან ზოლში ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროებითი წესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენისა და საქართველოს პროფსაბჭოს საკურორტო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი „დროებითი წესები იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ზონაში ქალაქ ბათუმიდან მდინარე ფსოუმდე 1,5-კილომეტრიანი ზოლის ფარგლებში“, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 ივლისი, № 427

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 14 ივლისის № 427
დადგენილებით

დროებითი წესები

იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ზონაში ქალაქ ბათუმიდან მდინარე ფსოუმდე 1,5-კილომეტრიანი ზოლის ფარგლებში

(შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 ოქტომბრის № 705 დადგენილების შესაბამისად)

განაშენიანების დროებითი წესების მიზანია თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას ყოველგვარი არარაციონალური მშენებლობა, მიწის სამუშაოების წარმოება და მიწების ათვისება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაფართოებისათვის საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე, რომელიც განკუთვნილია საკურორტო მშენებლობისათვის.

განაშენიანების წესები ვრცელდება ქალაქებზე, დასახლებულ პუნქტებზე, კურორტებსა და ისეთ ადგილებზე, რომლებსაც სამკურნალო მნიშვნელობა აქვთ, დანართის თანახმად.

შავი ზღვის სანაპიროს კილომეტრანახევრიანი სანაპირო ზოლი იყოფა ორ ზონად:

პირველი ზონა — საზღვაო პლაჟი 50—75 მეტრი სიგანის ფარგლებში.

მეორე ზონა მოიცავს სანაპირო ზოლის საკურორტო ტერიტორიას 1,5 კილომეტრამდე სიგანისა, იმ დასახლებული პუნქტების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კარმიდამოებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჩათვლით, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ადგილებს.

1. პირველ ზონაში აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა ან მიწის სამუშაოები, რომლებიც არ არის დაკავშირებული კურორტის სამკურნალო საშუალებათა ექსპლუატაციასთან, ან კავშირგაბმულობის იმ საშულებათა შეკეთებასთან და მშენებლობასთან, რომლებიც ამ ზონაშია.

2. მეორე ზონის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში აკრძალულია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ინდივიდუალური საკარმიდამო საბინაო მშენებლობა, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დადგენილი წესით დამტკიცებული გენერალური გეგმებით;

ბ) კილომეტრნახევრიანი ზოლის თავისუფალ ტერიტორიებზე, რომლებსაც არ მოიცავენ დამტკიცებული გენერალური გეგმები, ყოველგვარი მშენებლობა ისე, თუ არ არის მიღებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ნებართვა, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახმშენთან და პროფკავშირთა საკურორტო სამმართველოსთან;

გ) სამთო გამონამუშევართა წარმოება, ჭაბურღილების გათხრა, ტყის მთლიანი ჭრა, სანაგვეების, პირუტყვის სამარხების, სასაფლაოების, სარწყავი მინდვრების, ასენიზაციის მინდვრების მოწყობა; გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების გაშვება მდინარეებში ისე, თუ არ არის მიღებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ნებართვა, შეთანხმებული პროფკავშირთა საკურორტო სამმართველოსთან და სახელმწიფო სანიტარულ ინსპექციასთან.

3. საკურორტო ქალაქთა ტერიტორიებისა და სამკურნალო თვისებების მქონე ადგილების დაცვის ყოველგვარი ღონისძიებანი ეკისრება ტერიტორიულ საკურორტო სამმართველოებს, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება კურორტი. ტერიტორიისადმი მეთვალყურეობა ხორციელდება შესაბამისად „დებულებისა კურორტების და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის შესახებ“, რომელიც მოწონებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 10 აპრილის დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 12 მუხ. 289).

4. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ შავი ზღვის სანაპიროს კილომეტრნახევრიან ზოლში მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიონ;

ა) ისეთი მშენებლობისა და სხვა სახის სამუშაოთა შეზღუდვის განხორციელებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული კურორტის სამკურნალო ფაქტორების გაუმჯობესებასთან;

ბ) კურორტის ან სამკურნალო ადგილის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორების რეჟიმს.

ამ წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იღებენ ზომებს აღნიშნულ დარღვევათა დაუყოვნებლივ აღკვეთისათვის, რასაც აცნობებენ შესაბამის ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაშენიანების დროებითი წესები ვრცელდება შავი ზღვის სანაპიროს კილომეტრნახევრიან ზოლზე ქალაქ ბათუმიდან მდინარე ფსოუმდე და მოიცავენ:

1. ბათუმის რაიონი—ქალაქ ბათუმის საზღვრებიდან ქობულეთის რაიონის საზღვრამდე, კურორტ მახინჯაურის, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის, მწვანე კონცხის, ციხისძირის ჩათვლით.

2. ქობულეთის რაიონი — კურორტ მახინჯაურის საზღვრებიდან მახარაძის რაიონის საზღვრამდე, სოფ. სახალბაშოს კოლმეურნეობა „აჭარის", ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის, სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის, სოფ. ციხისძირის სტალინის სახ. კოლმეურნეობის ბობოყვათის კოლმეურნეობის, დაგვის კოლმეურნეობის, კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, კურორტ ქობულეთის, სოფ. ახალსოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის, ბუკნარის საბჭოთა მეურნეობის ჩათვლით.

3. მახარაძის რაიონი — კურორტ ქობულეთის საზღვრიდან მდინარე სუფსამდე, სოფელ ჩახათის, ქვედა ბახვის, მშვიდობაურის, დვაბზუს, სოფ. ჭანიეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის, სოფ. ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობების, მახარაძის სახ. კოლმეურნეობის, შეკვეთილის, ასკანის კოლმეურნეობის, მზიანის კოლმეურნეობის, ხვარბეთის კოლმეურნეობის, ბოხვაურის კოლმეურნეობის, სოფ. ფამფალეთის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის, სოფ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, მელექედურის კოლმეურნეობის, მაგნეტიდის, სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, ურეკის სანერგის ჩათვლით.

4. ლანჩხუთის რაიონი — სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საზღვრიდან ფოთის რაიონის საზღვრამდე (მდინარე მალთაყვა), ურეკის, მალთაყვის, სოფ. ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების ტორფსამუშაოების ჩათვლით.

5. ფოთის რაიონი — საზღვრებში მდინარე მალთაყვიდან მდინარე ჭურიამდე, ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, კოლხიდის საბჭოთა მეურნეობის, ქალაქ ფოთის, ცაგერის რაიონის სოფ. აღვის საძოვრების, სახელმწიფო მიწის ფონდის, პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის, ჩხოროწყუს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის კოლმეურნეობის, წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის ჩათვლილით.

6. **ზუგდიდის რაიონი** — ხობის რაიონის საზღვრიდან (მდინარე ჭურია) გალის რაიონის საზღვრამდე (მდინარე ენგური) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების, შავი ზღვის დაბის, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის ჩათვლით.

7. **გალის რაიონი** — ზუგდიდის რაიონის საზღვრიდან ოჩამჩირის რაიონამდე (მდინარე ციობა), განმუხურის კოლმეურნეობის, სოფელ ბარსის, სოფელ ნაჭკადუს, სოფელ დიხაგუზბის, სოფ. გაგიდის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების, სოფ. მეორე გუდავის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის ჩათვლით.

8. **ოჩამჩირის რაიონი** — გალის რაიონის საზღვრიდან (მდინარე ცაბა) სოხუმის საქალაქო რაიონის საზღვრებამდე, აჯბინეს, სოფ. ვარჩის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ბაბუშერის, სოფ. ბაბუშერის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ", სოფ. ქვემო ფშაფის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის, ფშაფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის, ფშაფის ქვემო გულრიფშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, სოფ. მაჭარის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის, სოფ. ახალსოფლის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის, ქალაქ სოხუმის, გუმისთის, კოლმეურნეობა „წითელი ეშერის", სოფ. ეშერის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის, ქვედა ეშერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ეშერის კოლმეურნეობა „აპსნი-კაპშის" ჩათვლით.

9. **გუდაუთის რაიონი** — სოხუმის რაიონის საზღვრიდან გაგრის რაიონამდე, სოფ. ფსირცხის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის, ფსირცხის საბჭოთა მეურნეობის, სოფ. ფსირცხის შაუმიანის სახ. კოლმეურნეობის, ახალი ათონის, სოფ. ანუხვის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის, ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, პრიმორსკოეს ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის, პრიმორსკოეს კოლმეურნეობა „გამარჯვების", სოფ. აბგარხუკის კოლმეურნეობა „ალაშარას", კალანურხვის, გუდაუთის, სოფ. ბამბორის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, სპეცდანიშნულების მიწების, სოფ. ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, სოფ. ახალსოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის, სოფ. მუგუძირხვის მუგუძირხვის სახელობის კოლმეურნეობის, მიუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სანატორიუმისა და პიონერთა ბანაკის, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების ჩათვლით.

10. გაგრის რაიონი — გუდაუთის რაიონის საზღვრიდან მდინარე ფსოუმდე, ლიძავის, ბიჭვინთის საბჭოთა მეურნეობის, ბიჭვინთის პიონერთა ბანაკის, მეთევზეთა დაბის, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, ალახაძის კოლმეურნეობის, მეფრინველეობის ფერმის, კოლხიდის კოლმეურნეობის, საკურორტო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობის, სოფ. კოლხიდის კოლმეურნეობა „სიხარულის" ახალი გაგრის, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების, ჩიგირიფშის, „გრებეშოკის", „ხოლოდნაია რეჩკას" (ცივი წყაროს), სოფ. განთიადის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის, განთიადის, სოფ. ხეივანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ლესელიძის ჩათვლით.

64 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულება, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 16 მაისის № 583 დადგენილების 1 მუხლი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 ივლისი, № 428

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 14 ივლისის № 428
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 56-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს საბჭოთა სკოლის მთავარი ამოცანის განხორციელებას — ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების აღზრდას, მოსწავლეების მომზადებას ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, მათი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების დონის შემდგომ ამაღლებას. ახალგაზრდობის აღზრდას სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემის, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ეკისრება:

ა) განახორციელოს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლება და უზრუნველყოს სრული საშუალო განათლების შემდგომი განვითარება მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე;

ბ) ყოველმხრივ გააფართოოს სკოლა-ინტერნატების ქსელი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების როლის მნიშვნელოვანი ზრდა და ოჯახისათვის დახმარება ბავშვების აღზრდის საქმეში;

გ) განახორციელოს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, უზრუნველყოს მათი საერთო და პოლიტექნიკური განათლება. მოამზადოს მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობისათვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებისათვის, უზრუნველყოს მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური განვითარება;

დ) განავითაროს სკოლამდელი აღზრდა;

ე) მოაწყოს მშრომელთა საერთო განათლების ამაღლება საღამოს (ცვლის) დაუსწრებელი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების საშუალებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) უზრუნველყოს სკოლები და საბავშვო დაწესებულებები სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სახელმძღვანელოებითა და სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებით, იზრუნოს სასწავლო-საწარმოო ბაზების გამოყოფისა და კეთილმოწყობისათვის;

ზ) სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საშუალებით განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე.

3. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო:

ა) ხელმძღვანელობს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განათლების განყოფილებებისა და უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების გატარებას, შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას, მოსწავლეებში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩვევების გამომუშავებას, ბავშვთა კომუნისტურ აღზრდას სკოლასა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში, მოსწავლეთა შრომისა და დასვენების ორგანიზაციას;

გ) დაამუშავებს და განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განათლების შესახებ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს და უზრუნველყოფს მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას;

დ) შეიმუშავებს ყველა ტიპის სკოლების, საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლების, სკოლის გარეშე დაწესებულებების ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის, სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა საწარმოების, ორგანიზაციისა და დაწესებულებების კაპიტალური მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების მომზადებისა და გადამზადების, სახელმძღვანელოების გამოცემისა და სასწავლო ხელსაწყოთა დამზადების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

ე) განიხილავს და დაამტკიცებს დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წესდებებსა და დებულებებს;

შეადგენს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ფინანსებ-ბის გეგმებს;

ხელმძღვანელობს სტატისტიკური აღრიცხვიანობის საქმეს განათ-ლების დარგში;

ვ) განიხილავს საკითხებს და დასკვნებს წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გახსნისა და დახურვის შესახებ;

ზ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, ინსტრუქციებს, მითითებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ და ძირითადი დოკუმენტაციის ფორმებს;

თ) დაამტკიცებს გამოსაცემად და დასამზადებლად სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას და თვალსაჩინო ხელსაწყოებს;

ი) შეიმუშავებს და დაამტკიცებს სკოლების საგამოცდო დოკუმენტაციას;

კ) დანიშნავს, გადაიყვანს და გაათავისუფლებს სკოლებისა და განათლების დარგის მუშაკებს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად;

ლ) წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მასწავლებლებს „საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად.

დააჯილდოებს მუშაკებს განათლების დარგში წარჩინებული მუშაობისათვის სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“;

მ) ჩაატარებს განათლების დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირებსა და სემინარებს;

ჩაატარებს განათლების დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირებსა და სემინარებს;

ნ) შეადგენს და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განათლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტებს.

დაამტკიცებს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხარჯთაღრიცხვებს და უზრუნველყოფს მათს შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააფინანსებს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და შეამოწმებს მათს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

განახორციელებს კონტროლს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ განათლების დაწესებულებების ორგანიზაციებისა და საწარმოების ხარჯთაღრიცხვების შესრულებაზე;

ო) ხელმძღვანელობს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მომარაგებას სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, დიდაქტიკური ხელსაწყოებითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

პ) შეიმუშავებს კაპიტალური მშენებლობის ტექნიკურ დოკუმენტაციას საპროექტო ორგანიზაციების მეშვეობით.

წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ან თვითონ დაამტკიცებს (სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობის მიხედვით) კაპიტალური მშენებლობის ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობასა და კონტროლს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ განათლების ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების შენობების კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის მიმდინარეობაზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 52-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მთელ საქმიანობას და უზრუნველყოფს განათლების საკითხებზე მიღებული კანონებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას.

5. საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 53-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე, ამასთან ამოწმებს მათს შესრულებას.

6. საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გააუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეაჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი შეიტანს განსახილველად შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მინისტრის თავმჯდომარეობით იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობას მინისტრის წარდგენით დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების, სახალხო განათლების საქმისადმი ხელმძღვანელობის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ძირითად საკითხებს, მოისმენს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და ოლქის და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილება ხორციელდება მინისტრის ბრძანებით, მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ აზრთა სხვაობის შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს, თავიანთი მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებობს ბავშვთა სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისია, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს ყველა ასაკის ბავშვთა სათამაშოების შექმნასა და წარმოებას.

კომისიის შემადგენლობას საქართველოს სსრ განათლების მინისტრის წარდგენით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა და აგრეთვე ძირეულ მოწინავე მუშაკთა გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იწვევს აქტივის თათბირებს, რომელზედაც მოისმენენ და განიხილავენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს და აქედან გამომდინარე განათლების საკითხებს, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისა და სამინისტროს პრაქტიკული საქმიანობის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და სამინისტროს სახელწოდება.

65 საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება, რომლის ცენტრალურ საბჭოს ადგილსამყოფელი ექნება ქ. თბილისში.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს აპარატის შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები, შეთანხმებული სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, № 1 დანართის თანახმად.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს შემოიღოს საზოგადოების აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილებებში საქმისმწარმოებელ-მოანგარიშის თანამდებობა.

4. დაწესდეს საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების იურიდიული წევრებისათვის ყოველწლიური ანარიცხების — საწევრო შენატანების რაოდენობა, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 ივლისი, № 429

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 14 ივლისის № 1432
დადგენილების დანართი № 1

შტატი

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს აპარატისა

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი თვეში (მანეთობ.)
სწავლული მდივანი	1	100
ბუღალტერი	1	60
საქმისმწარმოებელი-მემანქანე . . .	1	50

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 14 ივლისის № 429
დადგენილების დანართი № 2

ოდენობა

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების იურიდიულ წევრთა ყოველწლიური ანარიცხებისა — საწევრო შენატანებისა

იურიდიულ წევრთა დასახელება	შენატანები (მანეთობით)
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლის გარეშე დაწესებულებანი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და პედაგოგიური სასწავლებლები	2
მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტები, უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები	5
სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და ორგანიზაციები	5
საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე საზოგადოებები	15

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჟაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

66 საქართველოს სსრ უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 მარტის № 219 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1961 წლის პირველი ივნისიდან დებულება საქართველოს სსრ უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შესახებ.

დაწესდეს, რომ უწყებრივი გასამხედროებული დაცვის დებულების შემოღებას შედეგად არ უნდა იქნას დაშვებული დაცვის პერსონალის რაოდენობისა და მისი შესანახი ხარჯების გადიდება.

დაწესდეს, რომ აღნიშნული დებულების მოქმედება არ ვრცელდება გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ობიექტების გასამხედროებულ დაცვაზე.

2. შემოღებულ იქნას 1961 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების უწყებრივი გასამხედროებული დაცვისათვის ტანსაცმლის ერთიანი ფორმა (მუქი ლურჯი ფერისა, განსხვავების ნიშნებით ფერად დანაკერებზე), რომლის აღწერილობა დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1960 წლის 18 მარტს.

ტანსაცმლის ახალ ფორმაზე გადასვლა განხორციელდეს წინათ მიცემული ტანსაცმლის ტარების ვადის გასვლის მიხედვით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეინარჩუნონ საჭიროების დროს უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შემადგენლობაში სახანძრო ქვეგანაყოფები.

4. დაწესდეს, რომ დაცვის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგებამდე უცვლელი რჩება უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის მოქმედი თანამდებობრივი განაკვეთები და ფულადი კმაყოფის სხვა სახეობანი, საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ანაზღაურების წესი, აგრეთვე შვებულების ხანგრძლიობა უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობისათვის.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშენებლობის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს შეიმუშაონ და გამოიყენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით დებულება უწყებრივი გასამხედროებული დაცვის ნივთობრივი კმაყოფის შესახებ, ამასთან მტკიცედ იხელმძღვანელონ უწყებრივი გასამხედროებული დაცვის მუშაკთა ნივთობრივი კმაყოფის ნორმებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1960 წლის 19 მარტს, აგრეთვე გამოიყენონ დანართის შესაბამისად განსხვავების ნიშნები უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობისათვის, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ და შეთანხმებულია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 15 ივლისი, № 436

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 15 ივლისის № 436
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შესახებ

1. საიდუმლო

2. იმ ობიექტების განსაზღვრის წესს, რომლებიც უნდა დაიცვას უწყებრივმა გასამხედროებულმა დაცვამ, დაადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის მმართველობის სისტემას დაადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იქიდან გამომდინარე, რომ გაუმჯობესდეს დაცვის ორგანიზაცია, შემცირდეს დაცვის მუშაკთა რაოდენობა და მისი შენახვის ხარჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ობიექტებზე უწყებრივი გასამხედროებული დაცვის რაობა-ნობას და საგუშაგოებზე პირადი შემადგენლობის რიცხვს განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები ისე, რომ სათვალავში არ იქნან მიღებული ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის, საშვებთა ბიუროების მუშაკები და სამსახურებრივი მეძაღლეობის მუშაკები.

5. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შენახვა ხდება დასაცავი ობიექტების სახსრების ხარჯზე ან სხვა წყაროების ხარჯზე, სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად.

უწყებრივი გასამხედროებული დაცვის შტატები და ხარჯთაღრიცხვები საფინანსო ორგანოებში არ იქნება რეგისტრირებული.

6-7. საიდუმლო

8. უწყებრივი გასამხედროებული დაცვა თავის სამსახურებრივ საქმიანობასა და შინაგანაწესში ხელმძღვანელობს:

ა) ამ დებულებით;

ბ) სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების დარიგებებით, ინსტრუქციებით, ბრძანებებითა და განკარგულებებით.

9. დამოუკიდებელ ბალანსებზე მყოფ დაცვის დაწესებულებებს აქვთ თავიანთი საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშები სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში, აგრეთვე მრგვალი ბეჭედი და კუთხის შტამპი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

10. იმ ობიექტებზე, რომლებსაც იცავს უწყებრივი გასამხედროებული და უწყებრივი სადარაჯო დაცვა, უწყებრივი სადარაჯო დაცვა სამსახურის ორგანიზაციისა და შესრულების საკითხებში ემორჩილება უწყებრივი გასამხედროებული დაცვის რაზმის (გუნდის) უფროსს. უკეთუ იმ ობიექტებზე, რომლებსაც უწყებრივი გასამხედროებული დაცვა იცავს, არ არსებობს პროფესიული სახანძრო დაცვა, ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის ხელმძღვანელობას განახორციელებს უწყებრივი გასამხედროებული დაცვა.

11. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობა დაკავებული თანამდებობის მიხედვით იყოფა უფროს, საშუალო, უმცროს მეთაურთა შემადგენლობად და რიგითს შემადგენლობად.

უფროს, საშუალო და უმცროს უფშემადგენლობის, აგრეთვე რიგითი შემადგენლობის თანამდებობის ნომენკლატურას განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აღნიშნული შემადგენლობის თანამდებობათა ტიპობრივი ნუსხის შესაბამისად.

12. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის დაკომპლექტება ხდება სსრ კავშირის მოქალაქეთა რიცხვიდან, უპირატესად იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა არმიის თადარიგში და აკმაყოფილებენ გასამხედროებულ დაცვაში სამსახურის მოთხოვნებს.

13. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირად შემადგენლობაზე ვრცელდება შრომის საერთო კანონმდებლობა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევა.

14. გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის უფლება-მოვალეობანი.

უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობა მოვალეა:

— დაიცვას სოციალისტური საკუთრება;

— მტკიცედ დაიცვას სახელმწიფო საიდუმლოება, მუდამ იყოს ფხიზელი;

— შეუსუსტებლივ განამტკიცოს სახელმწიფო დისციპლინა და გაუფრთხილდეს მისთვის ჩაბარებულ ქონებასა და სახანძრო ტექნიკას.

— კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი და განუწყვეტლივ აიმაღლოს თავისი სამსახურებრივი და პოლიტიკური მომზადება;

— იყოს მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის, ორგანიზებულობისა და კულტურულობის ნიმუში, მუდამ იყოს სუფთად და წესიერად ჩაცმული და დაიცვას დაწესებული ფორმის ტანსაცმლის ტარების წესები;

— უყოყმანოდ შეასრულოს უფროსთა ბრძანებები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურთან, გამოიჩინოს ინიციატივა და საზრიანობა;

თანამდებობის მიხედვით თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულების გარდა, უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც დასაცავ ობიექტს ემუქრება (ხანძარი, ავარია, წყალდიდობა და ა. შ.).

თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობა იყოფა უფროსებად და ხელქვეითებად.

უფროსი ეწოდება გასამხედროებული დაცვის მუშაკს, რომელიც მუდმივად ან დროებით ხელმძღვანელობს გასამხედროებული დაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის პირადი შემადგენლობის სამსახურებრივ საქმიანობას, და პასუ-
ხისმგებელია მისთვის.

პირდაპირი უფროსია ის უფროსი, რომელსაც გასამხედროებუ-
ლი დაცვის მუშაკი ემორჩილება სამსახურის მხრივ, ხოლო უახლოე-
სი პირდაპირი უფროსი არის უშუალო უფროსი.

უწყებრივი გასამხედროებული დაცვის უფროსთა შემადგენლო-
ბის პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ობიექტების დაცვის სწო-
რი ორგანიზაციისა და პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის
შესრულებისათვის, პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლი-
ტიკური მომზადებისათვის, აღზრდისა და სამსახურებრივი დისციპ-
ლინისათვის, მათდამი რწმუნებული ქვეგანაყოფების მატერიალურ-
საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

სამსახურებრივი დისციპლინის ან საზოგადოებრივი წესრიგის
დარღვევისათვის გასამხედროებული დაცვის მუშაკს უნდა დაედოს
დისციპლინური სასჯელი, თუ მის მიერ ჩადენილი საქციელი არ
იწვევს სამართალში მიცემას.

15. პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის შესრულების წესი.

გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის მიერ სამსა-
ხურის შესრულება სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის ხა-
ზით წარმოადგენს საბრძოლო ამოცანის შესრულებას და დაცვის
პირადი შემადგენლობისაგან მოითხოვს სამსახურებრივი ინსტრუქ-
ციების ყველა მოთხოვნის ზუსტად დაცვას.

სამსახურის შესასრულებლად იქმნება ყარაულები.

ყარაულის შემადგენლობაში დაინიშნებიან:

— ყარაულის უფროსი,

— ყარაულის უფროსის თანაშემწე,

— ყარაულის უფროსის თანაშემწე სახანძრო სამსახურისა და
სამსახურებრივი მეძაღლეობის დარგში (უკეთუ ყარაულის შემად-
გენლობაში არიან სამსახურებრივი ძაღლები),

— ყარაულები.

ყარაულები დაინიშნებიან 8, 12 და 24 საათით. იმ ობიექტებზე,
სადაც დაწესებულია ერთი-ორი საგუშაგო, დაცვა შეიძლება განა-
ხორციელონ არა ყარაულებმა, არამედ ცალკეულმა განრიგებმა.

საგუშაგოებზე ყოფნა არ უნდა აღემატებოდეს: როდესაც სამ-
სახურის შესრულების გრაფიკი 24 საათს უდრის — 18 საათს, ხოლო
როდესაც იგი 12 საათს უდრის — 10 საათს.

ყარაული ემორჩილება:

— რაზმის (გუნდის) უფროსს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზმის უფროსის მოადგილეს (შტაბის უფროსს).

ყარაული სამოქმედოდ განემზადება იმ შემთხვევებში:

ა) თუ მოხდა თავდასხმა საგუშაგოზე, ყარაულზე, რომელიც საწარმოს იცავს,

ბ) თუ გამოცხადდა განგაში დასაცავ ობიექტზე ან ყარაულის განლაგების რაიონში,

გ) თუ ადგილი ექნა სტიქიურ უბედურებას (წყალდიდობა, ქარიშხალი და ა. შ.), რაც დასაცავ ობიექტს ემუქრება,

დ) თუ გაჩნდა ხანძარი, ან მოხდა ავარია დასაცავ ობიექტზე ან მის მახლობლად,

ე) იმ პირთა ბრძანებით, რომელთაც აქვთ ყარაულის შემოწმების უფლება.

საყარაულო შენობაში დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც მოსული არიან:

ა) ყარაულის გამოსაცვლელად;

ბ) სამსახურის შესრულების შესამოწმებლად;

გ) კავშირგაბმულობის საშუალებების გასასწორებლად და სხვა სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად.

დ) ყარაულის უფროსთან სამსახურის საქმის გამო.

ობიექტების დაცვის ამოცანების შესასრულებლად გამოყენებული იქნება შემდეგი სახის განრიგები: დარაჯი-გუშაგი, გუშაგი-კონტროლიორი, მზირნი, სეკრეტი, საფარი.

დარაჯი-გუშაგები გარე საგუშაგოებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული საშვების შემოწმებასთან, შეიარაღებული იქნებიან შაშხანებით.

დარაჯი-გუშაგი ემორჩილება ყარაულის უფროსსა და მის თანაშემწეს.

დარაჯი-გუშაგი მოვალეა:

— ფხიზლად დაიცვას თავისი საგუშაგო;

— არაფრით არ მოსცდეს სამსახურს, არ გაუშვას ხელიდან და არავის მისცეს იარაღი, იმ პირებსაც კი, რომლებსაც იგი ემორჩილება;

— არ დატოვოს საგუშაგო, ვიდრე არ გამოცვლიან ან მოხსნიან მას;

— იქონიოს საგუშაგოზე იარაღი გატენილი და ისეთ მდგომარეობაში, რომ ყოველთვის მზად იყოს მოქმედებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეეძლოს გამოიყენოს საგუშაგოზე არსებული საშუალებანი ხანძრის ჩასაქრობად;

— არ მიუშვას თავისთან საგუშაგოთა ტაბელში აღნიშნულ მანძილზე უფრო ახლოს არავინ, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც იგი ემორჩილება, და იმ პირებისა, რომლებსაც ისინი თან ახლავენ;

— გამოუძახოს ყარაულის უფროსს, თუ აღმოჩენილი იქნება კვალი საკონტროლო-საკვალო ზოლზე ან რაიმე უწესივრობა საგუშაგოზე და თავის საგუშაგოს მახლობლად ან მეზობელ საგუშაგოზე წესრიგის ყოველგვარი დარღვევის დროს.

— როდესაც გაიგონებს საყარაულო ძაღლის ყეფას ან გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის ერთერთი საშუალებით მიცემულ სიგნალს, დაუყოვნებლივ აცნობოს საყარაულო სადგომს (ქვეგანაყოფს).

დარაჯი-გუშაგი გმოიყენებს იარაღს საგუშაგოთა იმ ტაბელით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა საგარნიზონო და საყარულო სამსახურის წესდების მოთხოვნების შესაბამისად.

ყარაულის უფროსი პასუხისმგებელია ყარაულისათვის მინდობილი ობიექტების დაცვისათვის, ყარაულის პირადი შემადგენლობის მომზადებისათვის, სამსახურის სწორად შესრულებისათვის, აგრეთვე მოწყობილობის, ინვენტარის, საგუშაგო კავშირის და სიგნალიზაციის საშუალებათა მოვლა-შენახვისა და წესივრობისათვის საგუშაგოებზე და საყარაულო სადგომში.

ყარაულის უფროსი მოვალეა იცნობდეს:

ა) დასაცავი ობიექტის — საწარმოს ტერიტორიას, მის მიმდებარე ადგილს, საამქროებისა და წარმოებათა მნიშვნელობას;

ბ) ყარაულის ყველა პირის საერთო და განსაკუთრებულ მოვალეობას, ყარაულის საგანგებო ინსტრუქციებსა და საწარმოს დაცვის გეგმას;

გ) საგუშაგო კავშირისა და სიგნალიზაციის საშუალებათა განლაგებას, უნდა ამოწმებდეს მათ მოქმედებას ორჯერ მაინც ყარაულში ყოფნის დროს;

დ) ხანძრის ქრობის საშუალებათა (ცეცხლსაქრობები, სახანძრო ონკანები, ქვიშიანი ყუთები) განაწილებას და განლაგებას საგუშაგოებზე და მათი გამოყენების წესებს;

ე) ობიექტზე — საწარმოში დაწესებულ შიგასაობიექტო და საშვების რეჟიმს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) წესს ვისმეს დაშვებისა იმ სადგომებში (აგრეგატებში), რომლებსაც გუშაგი იცავს, და იმ პირთა სიას, რომლებსაც უფლება აქვთ გასცენ ობიექტებთან და აგრეგატებთან მისვლის ნებართვა.

დამატებითს ინსტრუქციებს ყარაულის სამსახურის ორგანიზაციისა და შესრულების შესახებ შეიმუშავებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები იმ წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა საგარნიზონო და საყარაულო სამსახურის წესდებით.

16. დასაცავი ობიექტების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან დაცვის ტექნიკურ საშუალებათა (შემოკავება, განათება, კავშირგაბმულობა, სიგნალიზაცია და სხვ.) მდგომარეობისათვის, ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო-ტექნიკური მდგომარეობისათვის, მატერიალურ ფასეულობათა მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებისათვის, სასაშვებო, შიგასაობიექტო და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმების დარღვევისათვის, აგრეთვე უწყებრივი გასამხედროებული დაცვის ქვეგანაყოფთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისათვის.

17. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის სამსახურებრივი მომზადება ობიექტებზე წარმოებს არასამუშაო დროს, იმ გეგმებისა და პროგრამების მიხედვით, რომლებსაც შეადგენენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები.

18. უწყებრივ გასამხედროებულ დაცვას ნივთობრივი ქონებით, კუთვნილი იარაღითა და საომარი მასალებით უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები დადგენილი წესით და დამტკიცებული ნორმების მიხედვით.

19. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის ყველაზე წარჩინებულ მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია დასაცავი ობიექტების მუშაკებისათვის დაჯილდოების შესახებ დებულებით, რომელიც მოცემულ ობიექტზე მოქმედებს.

ცალკეულ შემთხვევებში უწყებრივი გასამხედროებული დაცვის ყველაზე წარჩინებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად ამ დაცვის შესანახი ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული იქნება საპრემიო ფონდი დაცვის მუშაკთა ხელფასის ფონდის 0,5 პროცენტის ოდენობით (ამასთან მუშაკთა დაჯილდოება დასაცავი ობიექტის სხვა მუშაკებთან საერთო საფუძველზე არ იწარმოებს).

20. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის დასაბინავებლად საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები უფასოდ დაუთმობენ საერთო საცხოვრებელს დ[illegible]ტების მახლობლად.

21. უწყებრივი გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობა მოვალეა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დრო[illegible]ატაროს დაწესებული ტანსაცმლის ფორმა და თანამდებობრივი მდგომარეობის შესაბამისი განსხვავების ნიშნები.

შეთანხმებულია სსრ კავშირის
თავდაცვის სამინისტროსთან
1961 წლის 19 მაისს

დანართი
დამტკიცებულია სსრ კავშირის
სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის
მიერ 1961 წლის 23 მაისს

განსხვავების ნიშნები,

რომლებიც დაწესებულია უწყებრივი გასამხედროებული დაცვისა და პირველი კატეგორიის გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 მარტის № 219 დადგენილების მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად

უწყებრივი გასამხედროებული დაცვისა და პირველი კატეგორიის გასამხედროებული დაცვის უფროსი და საშუალო უფშემადგენლობის შინელის, კიტელისა და გიმნასტურას ფერად დანაკერებზე და უმცროსი უფშემადგენლობის შინელისა და გიმნასტურას ფერად დანაკერებზე განლაგდება დაკავებული თანამდებობის ან პერსონალური წოდების მიხედვით, განსხვავების შემდეგი ნიშნები:

1. უწყებრივი გასამხედროებული დაცვა

თანამდებობა	განსხვავების ნიშნები ფერად დანაკერებზე
უფროსი უფშემადგენლობა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების აპარატში	
გასამხედროებული დაცვის განყოფილების უფროსი	3 სწორკუთხედი
გასამხედროებული დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე	2 სწორკუთხედი
გასამხედროებული დაცვის უფროსი ინსპექტორი	1 სწორკუთხედი
სამრეწველო საწარმოებსა და სხვა ობიექტებში, რომლებსაც გასამხედროებული დაცვა ემსახურება	
რაზმის უფროსი	2 სწორკუთხედი
რაზმის უფროსის მოადგილე	1 სწორკუთხედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო უფროსმადგენლობა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების აპარატში	
გასამხედროებული დაცვის ინსპექტორი	4 კვადრატი
სამრეწველო საწარმოებსა და სხვა ობიექტებში, რომლებსაც გასამხედროებული დაცვა ემსახურება	
რაზმის უფროსის თანაშემწე, გუნდის უფროსი, ცალკეული გუნდის უფროსი და სახანძრო მატარებლის უფროსი	3 კვადრატი
გუნდის უფროსის მოადგილე, ცალკეული გუნდის უფროსის მოადგილე და საშვებთა ბიუროს უფროსი	2 კვადრატი
მორიგე ტექნიკოსი დაცვის ტექნიკურ საშუალებათა დარგში და სამსახურებრივი მეძაღლეობის გუნდის უფროსი	1 კვადრატი
უმცროსი უფროსმადგენლობა სამრეწველო საწარმოებში და სხვა ობიექტებზე, რომლებსაც გასამხედროებული დაცვა ემსახურება	
ჯგუფის უფროსი (ყარაულის უფროსი), რაზმის ზემდეგი და გაზკვამლის დაცვის სამსახურის ოსტატი	4 სამკუთხედი
სამსახურებრივი მეძაღლეობის ინსტრუქტორი	3 სამკუთხედი
საშვებთა ბიუროს მორიგე და რაზმის იარაღის ოსტატი	2 სამკუთხედი

2. პირველი კატეგორიის გასამხედროებული დაცვა

პერსონალური წოდება	განსხვავების ნიშნების ფერად დანაკერზე
გასამხედროებული დაცვის პოლკოვნიკი	3 სწორკუთხედი
გასამხედროებული დაცვის პოდპოლკოვნიკი	2 სწორკუთხედი
გასამხედროებული დაცვის მაიორი	1 სწორკუთხედი
გასამხედროებული დაცვის კაპიტანი	4 კვადრატი
გასამხედროებული დაცვის უფროსი ლეიტენანტი	3 კვადრატი
გასამხედროებული დაცვის ლეიტენანტი	2 კვადრატი
გასამხედროებული დაცვის უმცროსი ლეიტენანტი	1 კვადრატი
გასამხედროებული დაცვის ზემდეგი	4 სამკუთხედი
გასამხედროებული დაცვის უფროსი სერჟანტი	3 სამკუთხედი
გასამხედროებული დაცვის სერჟანტი	2 სამკუთხედი
გასამხედროებული დაცვის უმცროსი სერჟანტი	1 სამკუთხედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავების ნიშნები განლაგდება ფერადი დანაკერის ცენტრალურ ნაწილში ერთმანეთისაგან 2 მმ მანძილზე: სწორკუთხედები — ვერტიკალურად, კვადრატები — ფერადი დანაკერის ჰორიზონტალური ღერძის გასწვრივ, სამკუთხედების ფუძე — ფერადი დანაკერის ჰორიზონტალური ღერძის 4 მმ ქვემოთ.

განსხვავების ნიშნებისა და ფერადი დანაკერების აღწერილობა დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1960 წლის 18 მარტს.

შენიშვნა: გზათა სამინისტროს უწყებრივი გასამხედროებული დაცვისა და პირველი კატეგორიის გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობისათვის შემოღებულია განსხვავების ნიშნები და ფერადი დანაკერების ფორმა, რაც დაწესებულია რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისათვის, გასამხედროებული დაცვის მუშაკთა თანამდებობის იმ ნუსხისა და პირველი კატეგორიის გასამხედროებული დაცვის მუშაკთა პერსონალური წოდების შესაბამისად, რომელიც გზათა სამინისტროში მოქმედებს.

67 „კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღები ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის № 176 დადგენილების, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აპრილის № 271 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ივნისის № 514 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას:

ა) აძლიოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს კრედიტი კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის შესყიდვისა და გასაღებისათვის იმ წესით, რაც დადგენილია სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების დასაკრედიტებლად.

ბ) მისცეს 1961 წელს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ბოსტნეულ და კარტოფილსაცავების, მაცივრებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონცენტრაციის ბაზების მშენებ-

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 18 ივლისის № 450 დადგენილების დანართი № 2.

ტიპობრივი შტატები

ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის სამომხმარებლო კავშირებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სამეურნეო ანგარიშის სექციებისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმის მიხედვით				
	300 ათასი მანეთიდან 1.500 ათას მანეთამდე	1.500,1 ათასიდან 2.000 ათას მანეთამდე	2.000,1 ათასიდან 3.000 ათას მანეთამდე	3.000,1 ათასიდან 5.000 ათას მანეთამდე	5.000 ათას მანეთზე ზევით
1. ავტონომიური სექციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (იგივე უფროსი საქონელმცოდნე)	1	1	1	1	1
2. ეკონომისტი ფასებისა და კონიუნქტურის დარგში	1	1	1	1	1
3. უფროსი საქონელმცოდნე	—	—	1	1	1
4. საქონელმცოდნე	1	1	1	1	1
5. უფროსი ბუღალტერი	1	1	1	1	2
6. ბუღალტერი	—	—	—	1	2
7. მდივანი-მემანქანე	—	1	1	1	1
სულ	4	5	6	7	8

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 18 ივლისის № 450 დადგენილების დანართი № 3

ტიპობრივი შტატები

აეკავშირის სისტემის რაიკომკავშირებთან და რაისამომხმარებლო კავშირებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სამეურნეო ანგარიშის სექციებისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმის მიხედვით			
	100 ათასი მანეთიდან 200 ათას მანეთამდე	200,1 ათასიდან 300 ათას მანეთამდე	300,1 ათასიდან 500 ათას მანეთამდე	500 ათას მანეთზე ზევით
1. ავტონომიური სექციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (იგივე უფროსი საქონელმცოდნე)	1	1	1	1
2. ეკონომისტი	—	1	1	1
3. უფროსი ბუღალტერი	1	1	1	1
4. საქონელმცოდნე	—	—	1	1
5. მდივანი-მემანქანე	—	—	—	1
სულ	2	3	4	5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 18 ივლისის № 1556 დადგენილების დანართი № 4

ტიპობრივი შტატები

ცეკავშირის სისტემის კოოპგასაღების სექციის ბაზებისა (რაიონული, სარაიონთაშორისო, საოლქო და რესპუბლიკური)

	საშტატო ერთეულები საბითუმო საქონელბრუნვის წლიური გეგმის მიხედვით			
	500 ათასიდან 1000 ათას მანეთამდე	1000,1 ათასიდან 1500 ათას მანეთამდე	1500,1 ათასიდან 2000 ათას მანეთამდე	2000,1 ათასი მანეთიდან და ზევით
1. ბაზის დირექტორი	1	1	1	1
2. დირექტორის მოადგილე — უფროსი საქონელმცოდნე	—	—	1	1
3. ეკონომისტი	—	—	1	1
4. საქონელმცოდნე	1	1	1	3
5. უფროსი ბუღალტერი	1	1	1	1
6. ბუღალტერი	—	1	1	1
7. მდივანი-მემანქანე	—	1	1	1
სულ	3	5	7	9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 18 ივლისის № 430 — ლ-ის
ნილების დანართი № 5

ტიპობრივი შტატები

ქალაქკოოპვაჭრობებისა, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობას

	საშტატო ერთეულები საცალო საქონლის წლიური გეგმის მიხედვით			
	500 ათასი მანეთიდან 1000 ათას მანეთამდე	1000,1 ათასიდან 3500 ათას მანეთამდე	3500,1 ათასიდან 5000 ათას მანეთამდე	5000,1 ათას მანეთზე ზევით
1. ქალაქკოოპვაჭრობის დირექტორი	1	1	1	1
2. დირექტორის მოადგილე	—	—	1	1
3. უფროსი საქონელმცოდნე	—	1	1	1
4. საქონელმცოდნე	1	2	3	4
5. ინსპექტორი	—	—	1	1
6. უფროსი ბუღალტერი	1	1	1	1
7. უფროსი ბუღალტრის მოადგილე	—	—	1	1
8. ბუღალტერი	1	2	3	4
9. საწყობის გამგე	1	1	1	1
10. ეკონომისტი	—	1	1	1
11. მდივანი-მემანქანე	1	1	1	1
12. მოლარე-ინკასატორი	—	1	1	1
13. იურისკონსულტი	—	—	1	1
სულ	6	11	17	19

შენიშვნა: ქალაქკოოპვაჭრობის შტატში აღრიცხვისათვის სავაჭრო საწარმოებში შეიძლება დაწესდეს დამატებით ბუღალტრის ერთი თანამდებობა ყოველ ათ საწარმოზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

68 სახელმწიფო გეგმის შესრულებამდე საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ ხილისა და ბოსტნეულის გატანის აკრძალვის შესახებ

აღინიშნოს, რომ ბევრ კოლმეურნესა და ცალკეულ კოლმეურნეობებს არაორგანიზებული წესით გააქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტი, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს დამზადების დაწესებული გეგმების შესრულებასა და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინაზე, ვინაიდან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ხანგრძლივი დროით სწყდება საკოლმეურნეო წარმოებას.

ხილისა და ბოსტნეულის დამზადება-შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ აღიკვეთოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სპეკულაცია და თავიდან იქნას აცილებული კოლმეურნეთა მასობრივი მოცდენა მუშაობისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს 1961 წლის მოსავლის ახალი კურკოვანი, თესლოვანი ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფისა და ბოსტნეულის გატანა სარეალიზაციოდ საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ მანამ, ვიდრე არ შესრულდება საქართველოს სს რესპუბლიკაში ამ პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები.

საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ, ფოთის, სოხუმისა და ბათუმის სავაჭრო ნავსადგურების სამმართველოებმა კონტროლი გაუწიონ აღნიშნული აკრძალვის დაცვას.

2. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას ფართოდ გაშალოს მუშაობა კოლმეურნეებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისა და მათი რეალიზაციისათვის ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 ივლისი, № 455.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69 რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღმზრდელებისათვის შეღავათებისა და უპირატესობის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 ივლისის № 539 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დადგინდეს, რომ სკოლა-ინტერნატების აღმზრდელები სარგებლობენ ყოველწლიურად მორიგი შვებულებებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 21 აპრილის № 1577 დადგენილებით დამტკიცებული შვებულებების ხანგრძლიობის მიხედვით.

2. გავრცელდეს სოფლის სკოლა-ინტერნატების აღმზრდელებზე ყველა ის შეღავათები და უპირატესობანი, რაც დაწესებულია სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილებით.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებები 1961 წელს გატარდეს რესპუბლიკისათვის დამტკიცებული შრომის გეგმისა და ბიუჯეტის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 21 ივლისი, № 461

ლობისათვის გრძელვადიანი კრედიტი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობისა და „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში, იმ ანგარიშით, რომ კრედიტი დაიფაროს 5 წლის განმავლობაში, 1963 წლიდან დაწყებული.

2. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას შექმნას 1961-1964 წლების პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიურ სექციებში ქალაქის კოოპერაციული ვაჭრობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის ხარჯების დაფინანსების ფონდი, იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის ბრუნვის სამ პროცენტამდე, რომლებსაც ყიდულობენ კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან და საკომისიოდ იღებენ კოლმეურნეობებისაგან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის № 176 დადგენილებით გათვალისწინებული წესით

3. მოწონებულ იქნას და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნოს შესათანხმებლად საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირთან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სამომხმარებლო კავშირებთან, რაიკოოპკავშირებთან და რაისამომხმარებლო კავშირებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციების, აგრეთვე ბაზებისა და ქალაქკოოპვაჭრობის ტიპობრივი შტატები, №№ 1-5 დანართების თანახმად.

ნება დაერთოს ცეკავშირის გამგეობას დააწესოს აღნიშნული ტიპობრივი შტატები შრომის გეგმისა და მიმოქცევის ხარჯების დონის ფარგლებში, რაც ცეკავშირის სისტემას დაუმტკიცდა 1961 წლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციებისა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაკთა შრომის ანაზღაურება მოხდეს იმ პირობების შესაბამისად, რომლებსაც იყენებენ შესაბამისად — ცეკავშირისა და სამომხმარებლო კავშირების მუშაკთა, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დროს.

დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთები:

ცეკავშირთან და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სამომხმარებლო კავშირებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციების გამგეობათა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდომარეებს, რომლებიც არიან ამ სამომხმარებლო კავშირების გამგეობათა თავმჯდომარეების მოადგილეები, — შესაბამისი სამომხმარებლო კავშირების თავმჯდომარეთა მოადგილეების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციების გამგეობათა თავმჯდომარეებს, რომლებიც არიან სამომხმარებლო კავშირების გამგეობათა წევრები, — შესაბამისი სამომხმარებლო კავშირების სამმართველოების (განყოფილებების) უფროსთა თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

ცეკავშირთან და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სამომხმარებლო კავშირებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციების გამგეობათა თავმჯდომარეების მოადგილეებს — შესაბამისი სამომხმარებლო კავშირების სამმართველოების (განყოფილებების) უფროსთა მოადგილეების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველწლიურად გამოუყოს სამომხმარებლო კოოპერაციას სამაცივრო-სავაჭრო და ტექნოლოგიური მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ქაღალდი, კაბელის ნაკეთობანი, სამშენებლო და სხვა მასალები, რაც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწყობად.

5. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიურ სექციას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების მოსაწყობად 10 სატვირთო მანქანა იმ 20 სატვირთო ავტომანქანიდან, რომლებიც გამოყოფილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივნისის № 402 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 18 ივლისი, № 450

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 18 ივლისის № 450 დადგენილების
ნილების დანართი № 1

ტიპობრივი შტატები

ცეკავშირთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სამეურნეო ანგარიშის სექციისა

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმის მიხედვით		
	20-დან 30 მილიონ მანეთამდე	30-დან 40 მილიონ მანეთამდე	40-მილიონ მანეთზე ზევით
1. სექციის გამგეობის თავმჯდომარე — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე	1	1	1
2. სექციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე	1	1	1
3. მსუბუქი ავტომანქანის შოფერი	1	1	1
4. მდივანი-სტენოგრაფისტი	1	1	1
5. მემანქანე	1	1	1
6. შიკრიკი-დამლაგებელი	1	1	1
7. იურისკონსულტი	1	1	1
ს უ ლ	7	7	7
შესყიდვისა და გასაღების განყოფილება			
8. განყოფილების უფროსი	1	1	1
9. უფროსის მოადგილე (იგივე უფროსი საქონელმცოდნე)	1	1	1
10. უფროსი საქონელმცოდნე	1	1	1
11. საქონელმცოდნე	5	6	6
12. ინჟინერ-ტექნოლოგი	1	1	1
ს უ ლ	9	10	10
ვაჭრობის, ფასებისა და კონიუნქტურის განყოფილება			
13. განყოფილების უფროსი	1	1	1
14. განყოფილების უფროსის მოადგილე (იგივე უფროსი საქონელმცოდნე)	1	1	1
15. უფროსი საქონელმცოდნე	1	1	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები საცალო-ნაჭრ. ნელბრუნვის წლიური გეგმის მიხედვით		
	20-დან 30 მილიონ მანეთამდე	30-დან 40 მილიონ მანეთამდე	40-მილიონ მანეთზე ზევით
16. უფროსი ინსტრუქტორი ვაჭრობის ორგანიზაციის დარგში	1	1	1
17. ინსტრუქტორი ვაჭრობის ორგანიზაციის დარგში	—	—	1
18. უფროსი ეკონომისტი ფასებისა და კონიუნქტურის დარგში	1	1	1
19. ეკონომისტი	2	3	3
ს უ ლ	7	8	9
საგეგმო-საფინანსო განყოფილება			
20. განყოფილების უფროსი	1	1	1
21. განყოფილების უფროსის მოადგილე (იგივე უფროსი ეკონომისტი)	1	1	1
22. მთავარი ბუღალტერი	1	1	1
23. ბუღალტერი	2	3	4
24. ბუღალტერ-რევიზორი	1	2	2
სულ	6	8	9
მთლად	29	33	35

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა კავშირის წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა კავშირის „მონკავშირის“ წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 აპრილის № 200 დადგენილება „საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი საზოგადოების მონადირეთა კავშირის — „მონაკავშირის“ წესდების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 21 ივლისი, № 462.

წ ე ს დ ე ბ ა

ნებაყოფლობითი საზოგადოების—საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის „მონკავშირის“

I.

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მონადირეთა კავშირი, რომელსაც შემოკლებით „მონკავშირი“ ეწოდება, წარმოადგენს ნებაყოფლობით მასობრივ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ მონადირეთა საზოგადოებებს და მოქმედებს ამ წესდებით.

2. „მონკავშირი“ და მასში გაერთიანებული საზოგადოებები ამოცანად ისახავენ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის და სპორტის განვითარებას, როგორც საშუალებას ჯანმრთელი და ამტანი მოქალაქეების აღზრდისა, რომლებიც მზად იქნებიან შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „მონკავშირისა“ და მისი ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანათა განსახორციელებლად საქართველოს მონადირეთა კავშირი:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო ფაუნის შენარჩუნების, მოშენებისა და გამდიდრების მიზნით აწყობს სამონადირეო მეურნეობებს, აგრეთვე სანადირო ბაზებს და დამხმარე მეურნეობებს;

ბ) საქართველოს სსრ მოსახლეობაში ეწევა სამონადირეო-სასროლო და სათევზაო სპორტის პროპაგანდას და ხელს უწყობს მის ფართო განვითარებას;

გ) აერთიანებს კავშირის წევრებს პირველად ორგანიზაციებში და მათ შორის ეწევა სისტემატურ მუშაობას სამონადირეო და სათევზაო მეურნეობებსა და სპორტის განვითარებისათვის;

დ) აწყობს მეცადინეობებს, მოხსენებებს, ლექციებს ნადირობის და სამონადირეო მეურნეობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე სკოლებსა და კურსებს ეგერების, სამონადირეო სპორტის ინსტრუქტორების, მესტენდე მსროლელების, სასტენდო და სათევზაო სპორტის მსაჯებისა და მეძაღლეობის ექსპერტ-მსაჯების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აქვს კლუბები, ბიბლიოთეკები და მონადირეთა კუთხეები;

ე) ახორციელებს მშენებლობას, იძენს, განასხვისებს და ქირაობს სხვადასხვა სასპორტო ნაგებობებს, აგრეთვე სამონადირეო და სასპორტო ინვენტარის დამამზადებელ და შემკეთებელ საწარმოებს;

ვ) ახორციელებს მონადირეთა და სხვათა მომარაგებას საჭირო სანადირო, სათევზაო და სხვა სასპორტო ინვენტარითა და მოწყობილობით და ზოოლოგიური საქონლით, რისთვისაც ხსნის ბაზებსა და მაღაზიებს გასასაღებლად;

ზ) აწყობს დამზადების პუნქტებს ნადირობისა და მეთევზეობის პროდუქციის დასამზადებლად და ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბეწვეულისა და ნადირობის სხვა პროდუქციის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებას;

თ) აწყობს სანადირო ძაღლების საჯიშეებს, საგეშ პუნქტებს, გამოფენებს, საველე გამოცდებსა და შეჯიბრებებს, აწარმოებს სანადირო ძაღლების რესპუბლიკურ საჯიშე წიგნს;

ი) ეწევა მუშაობას მავნე მტაცებელ ნადირ-ფრინველის გასანადგურებლად;

კ) აწარმოებს ნადირობის ვადებისა და წესების დაცვის პროპაგანდას და ეწევა ბრძოლას ამ წესების დამრღვევთა წინააღმდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელფასიანი ინსპექტორების და საზოგადოების წევრებისაგან შემდგარ ობით;

ლ) აწყობს სასპორტო სტენდებს და ატარებს შეჯიბრებებს სანადირო და სათევზაო სპორტში, სასტენდო და სატირო სროლაში, აწარმოებს საზოგადოების წევრთა მომზადებას სპორტულ სათანრიგო ნორმების ჩასაბარებლად. მონაწილეობას იღებს შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებში, რომლებსაც აწყობენ ფიზკულტურული და სხვა ორგანიზაციები, აძლევს დიპლომებს, ჯილდოებს და სათანადო ორგანიზაციებს წარუდგენს სანადირო და სათევზაო სპორტის საუკეთესო სპორტსმენებსა და მოღვაწეებს, მათთვის სპორტის ოსტატის წოდების მისანიჭებლად და სხვა;

მ) გამოსცემს გაზეთებს, ჟურნალებს, ბიულეტენებს, ცნობებს, მეთოდურ სახელმძღვანელოებს და სხვა ლიტერატურას სამონადირეო მეურნეობისა და სპორტის საკითხებზე;

ნ) სამონადირეო-სამეურნეო და სპორტულ ღონისძიებათა გასატარებლად მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით აწყობს სანადირო-სასროლო მასალის, კავკასიური ნაბდების, ფალასკების, ძაღლის საყელურების, ზურგჩანთების, თოფის შალითების, პაჭიჭების, რეზინის ჩუნების (ძველი ნახმარი კირზის ზედაპირად და ხმარებიდან გამოსული ავტოსაბურავების საძირედ გამოყენებით), ბამბუკისაგან თხილამურის ჯოხებისა და სათევზაო ხელსაწყოების, მაგარი ჯიშის ხის ნარჩენებიდან თოფის საკონდახეებისა და ხელის იარაღების (ნაჯახის, ჩაქუჩის, ქლიბის და სხვა) ტარების დასამზადებელ საწარმოებს, სანადირო და სპორტული იარაღების შემკეთებელ სახელოსნოებს, საბილიარდოებს, ტირებს და ფოტო-ატელიებს, რომლითაც მომსახურებას უწევს როგორც მონადირეებს, ისე მოსახლეობას;

ო) ამზადებს კადრებს სამონადირეო მეურნეობისათვის, ნადირთმოშენების, მეძაღლეობისა და სასროლო სპორტისათვის;

პ) კონტროლსა და ინსტრუქტაჟს უწევს თავისი იურდიული წევრების საქმიანობას.

4. საქართველოს მონადირეთა კავშირის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონულ საზოგადოებებს და მათში შემავალ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ იურდიულ პირს, უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით შეიძინონ, განასხვისონ და იჯარით აიღონ ქონება, გახსნან და დახურონ ანგარიშები სსრ კავშირის საკრედიტო დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებებში, დადონ ხელშეკრულებები და შეთანხმებანი — ბინადრობა მინდობილობანი, იძიონ და პასუხი აგონ სასამართლოში და სახელმწიფო არბიტრაჟში.

5. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები წარმოებს ღია კენჭისყრით.

6. საქართველოს მონადირეთა კავშირს „მონკავშირს“ აქვს ალამი, ემბლემა და მრგვალი ბეჭედი, ხოლო საზოგადოებებს — მრგვალი ბეჭედი.

II.

მონადირეთა საზოგადოების წევრები და მათი უფლებამოვალეობანი

7. მონადირეთა საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.

8. მონადირეთა კავშირის წევრად მიღება ხდება ინდივიდუალური წესით, მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივის ან საზოგადოების გამგეობებთან არსებული მიმღები კომისიის მიერ სავალდებულო სამონადირეო ცოდნის მინიმუმის შემოწმებისა და მისი რეკომენდაციის შემდეგ.

9. ის პირი, რომელიც ახლადმიღებული იქნება მონადირეთა კავშირის საზოგადოების წევრად, იხდის შესასვლელს და საწევროს „მონკავშირის“ ყრილობის მიერ დაწესებული ოდენობით.

10. „მონკავშირის“ წესდების და ნადირობის წესების დამრღვევ მონადირეთა მიმართ, დარღვევის ხასიათის მიხედვით, შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი ზომები: გაფრთხილება, საზოგადოებრივი გაკიცხვა, საყვედური, სასტიკი საყვედური და საზოგადოების წევრობიდან გარიცხვა.

11. მონადირეთა საზოგადოების აქტიურ წევრებს მათი წახალისების მიზნით შეიძლება გამოეცხადოთ მადლობა, დაჯილდოებული იქნენ სიგელებით, პრიზებით, ფასიანი ჯილდოებით და მიენიჭოთ „საპატიო მონადირის“ წოდება.

12. საქართველოს მონადირეთა კავშირის წევრები სარგებლობენ დადგენილი ნიმუშის სანადირო ბილეთით, რომელსაც ძალა აქვს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

13. მონადირეთა საზოგადოებიდან წევრის გარიცხვა ხდება პირველადი კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილებით და საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, ხოლო, სადაც კოლექტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი არ არის, სათანადო მონადირეთა საზოგადოების გამგეობის წყვეტილებით, კავშირის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლებით.

14. ის მონადირეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ გადაიხდიან საწევრო გადასახადს მისთვის დაწესებული რეგისტრაციის ვადის გასვლიდან, ერთი წლის განმავლობაში, ჩაითვლებიან მექანიკურად გასულად.

15. მონადირეთა საზოგადოებებიდან გარიცხულ, მექანიკურად გასულს და აგრეთვე ნებაყოფლობით გასულ პირებს საწევრო გადასახადი არ უბრუნდებათ.

16. მონადირეთა საზოგადოებების წევრებს უფლება აქვთ:

ა) აირჩიონ და არჩეულ იქნან „მონკავშირის“ ყველა ხელმძღვანელ ორგანოში;

ბ) ისარგებლონ მონადირეთა საზოგადოების მიერ დადგენილი წესებით, სანადირო და სათევზაო მეურნეობებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, აგრეთვე „მონკავშირის“ სისტემის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოებით;

გ) მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, გამოფენებში, კონკურსებზე და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებს „მონკავშირი“ და მასში შემავალი მონადირეთა საზოგადოებები.

17. მონადირეთა საზოგადოების წევრები ვალდებულნი არიან:

ა) გასწიონ პროპაგანდა მოსახლეობაში მონადირეთა საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესახებ;

ბ) ამ წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მუშაობაში;

გ) დაიცვან ნადირობისა და თევზაობის წესები და ვადები;

დ) ბრაკონირების წინააღმდეგ აწარმოონ აქტიური ბრძოლა;

ე) მიიღონ ყოველგვარი ზომები მავნე მტაცებელ ნადირ-ფრინველის წინააღმდეგ საბრძოლველად;

ვ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ გეგმით გათვალისწინებული ბეწვეულის ჩაბარების საქმეში და იბრძოლონ მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

ზ) საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გამოცვლის შემთხვევაში თავის დროზე მოეხსნან აღრიცხვიდან და ახალ ადგილზე მისვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა გატარდნენ აღრიცხვაზე სათანადო მონადირეთა საზოგადოების გამგეობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) თავის დროზე გადაიხადონ საწევრო გადასახადი და აგრეთვე რეგისტრაციაში გაატარონ სანადირო თოფი, სანადირო ჯალი და სანადირო ძაღლი.

III
საზოგადოების იურიდიული წევრები

18. საზოგადოების იურიდიულ წევრად შეიძლება იყოს რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა საზოგადოებები.

19. მონადირეთა კავშირის შემადგენლობაში ახალი იურიდიული პირის წევრად მიღების საკითხს განიხილავს საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი და წარუდგენს გამგეობას დასამტკიცებლად, რომელიც თავის გადაწყვეტილებას მოახსენებს ყრილობას.

20. რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა საზოგადოებები, რომლებიც შედიან „მონკავშირის" იურიდიულ წევრებად, საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში შეაქვთ წერილობითი განცხადება, რომელსაც თან ერთვის საზოგადოების წევრთა საერთო კრების, ან კონფერენციის დადგენილება ამ საკითხზე.

21. მონადირეთა საზოგადოებებს, რომლებიც „მონკავშირში" შედიან, შეაქვთ შესასვლელი შენატანები და სპეციალური ანარიცხები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობა.

22. „მონკავშირის" იურიდიული წევრები მოვალენი არიან:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ფართოდ ჩააბან მონადირეები და მეთევზეები იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებსაც „მონკავშირი" აწყობს წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

ბ) მტკიცედ დაიცვან „მონკავშირის" წესდება, დროულად შეასრულონ მისი გამგეობის დადგენილებანი, მითითებანი და დავალებანი;

გ) წარუდგინონ „მონკავშირის" გამგეობის პრეზიდიუმს, მის მიერ დადგენილი წესებისა და ვადების მიხედვით ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ, აგრეთვე საჭირო ცნობები და მასალები;

დ) დაუბრკოლებლად დაუშვან „მონკავშირის" გამგეობის პრეზიდიუმის მიერ დანიშნული რწმუნებულები მათი მეურნეობებისა და წარმოებების საქმიანობის შესამოწმებლად და კონტროლისათვის;

მუზ. 70
ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) დროულად აცნობონ „მონკავშირის“ პრეზიდიუმს მათი გამგეობის შემადგენლობაში მომხდარი ყველა ცვლილება;

ვ) წინასწარ აცნობონ „მონკავშირის“ პრეზიდიუმს იმ კრებების ან კონფერენციების მოწვევის შესახებ, რომელზეც ისმება საზოგადოების გამგეობის გადარჩევის საკითხი.

23. „მონკავშირის“ იურიდიული წევრები მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე და უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ „მონკავშირის“ საქმიანობასა და საქმეთა მართვაში;

ბ) მიიღონ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმისაგან კონსულტაცია, ფინანსური, იურიდიული, მატერიალური და სხვა დახმარება სამონადირეო მეურნეობისა და სარეწების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის და სამონადირეო საქმესთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად;

გ) თავიანთი წევრების მომარაგების მიზნით შეიძინონ „მონკავშირისაგან“ სანადირო თოფები, სანადირო ტყვია-წამალი, საჭურველი, ნადირობისა და თევზაობის მოწყობილობა და მასალები და სხვა სპორტული საქონელი;

დ) თავიანთი წევრების უკეთ მომსახურების მიზნით სანადირო და სათევზაო სპორტ-ინვენტარი და მოწყობილობა შეიძინონ აგრეთვე სხვა ორგანიზაციებშიაც;

ე) მიიღონ „მონკავშირის“ საჯიშედან თავიანთი წევრებისათვის ჯიშიანი სანადირო ძაღლები და გადასცენ ისინი დაგეშვისათვის მონკავშირის საგეშ პუნქტებს;

ვ) გამოიტანონ დადგენილებები და შეიტანონ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმში განსახილველად საკითხები მთლიანად რესპუბლიკაში და აგრეთვე ცალკეულ სამონადირეო მეურნეობებში სანადირო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

IV

მონადირეთა კავშირის აღნაგობა

ცენტრალური ორგანოები

1. მონადირეთა კავშირის რესპუბლიკური ყრილობა

24. საქართველოს მონადირეთა კავშირის — „მონკავშირის“ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მონადირეთა საზოგადოების წევრთა ყრილობა, რომელიც იწვევა ოთხ წელიწადში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ. ყრილობის დელეგატებს ირჩევენ დახურული (ფარული) კენჭისყრით რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და პუბლიკების მონადირეთა კონფერენციებზე (კრებებზე).

ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ნორმებს აწესებს „მონკავშირის“ გამგეობა.

25. საქართველოს მონადირეთა კავშირის რესპუბლიკური ყრილობები შეიძლება იყოს:

მორიგი ან საგანგებო, რომლებსაც იწვევენ „მონკავშირის“ გამგეობის გადაწყვეტილებით, სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ან „მონკავშირის“ წევრთა განცხადებით, რომლებიც წარმოადგენენ „მონკავშირში“ გაერთიანებულ მონადირეთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედისა.

26. „მონკავშირის“ რესპუბლიკური ყრილობა:

ა) განსაზღვრავს შესასვლელ, საწევრო და სხვა შენატანების ოდენობას, როგორც თავისი იურიდიული წევრებისათვის, ისე პირველადი ორგანიზაციების წევრი მონადირეებისა და მეთევზეებისათვის;

ბ) განიხილავს და შეფასებას აძლევს გამგეობის მუშაობას. ამტკიცებს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, ადგენს და ამტკიცებს გამგეობის პრეზიდიუმისათვის მიცემულ განაწესს და განსაზღვრავს „მონკავშირის“ შემდგომი მუშაობის მიმართულებას;

გ) ანაწილებს მოგებას და ზარალის შემთხვევაში ადგენს მისი დაფარვის წყაროებს;

დ) აწესებს გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და ამხანაგური სასამართლოს წევრთა რიცხვს. ირჩევს მათ შემადგენლობას და საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს საკითხს ვადამდე მათი გადაყენების შესახებ;

ე) ამტკიცებს „მონკავშირის“ გამგეობის მიერ მიღებულ იურიდიულ წევრთა სიას;

ვ) განიხილავს და წყვეტს „მონკავშირისა“ და მისი იურიდიული წევრი საზოგადოებების ლიკვიდაციის საკითხებს;

ზ) ამტკიცებს „მონკავშირის“ წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები. აგრეთვე ამტკიცებს დებულებას ამხანაგური სასამართლოების შესახებ.

27. „მონკავშირის“ იურიდიულ წევრებს წინასწარ ეგზავნებათ ცნობა რესპუბლიკური ყრილობის მოწვევის შესახებ, რომლებშიც აღინიშნება ყრილობის მიერ განსახილველი საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები უნდა გაიგზავნოს ერთი თვით ადრე, მორიგი ყრილობის მოწვევამდე და 14 დღით ადრე, საგანგებო ყრილობის მოწვევამდე.

28. მონაწილეთა რესპუბლიკური ყრილობა ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება დელეგატთა არა ნაკლებ ორი მესამედისა.

ყრილობაზე საკითხების გადაწყვეტა ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

იმ შემთხვევაში, თუ ყრილობაზე მოვა დელეგატთა ორ მესამედზე ნაკლები, ყრილობა გადაიდება და მისი მოწვევა უნდა მოხდეს ხელმეორედ არა უადრესი ორი კვირისა.

2. „მონკავშირის" გამგეობა

29. ყრილობიდან ყრილობამდე „მონკავშირის" საქმეთა საწარმოებლად რესპუბლიკური ყრილობა ირჩევს „მონკავშირის" გამგეობას 45 — 55 კაცის შემადგენლობით. „მონკავშირის" გამგეობა ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს კავშირის უმაღლეს ორგანოს.

30. „მონკავშირის" გამგეობა:

ა) განიხილავს საკითხებს კავშირის წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ, გამოაქვს ეს საკითხები „მონკავშირის" რესპუბლიკური ყრილობის განსახილველად და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) ამტკიცებს კავშირის სამმართველო აპარატის სტრუქტურას, წლიურ საფინანსო გეგმას, მათი შესრულების ანგარიშს და კავშირის ნაერთ ბალანსს;

გ) აწარმოებს „მონკავშირის" წევრ-საზოგადოებათა მიღებასა და გარიცხვას და აგრეთვე მათ ლიკვიდაციას;

დ) განიხილავს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც შეაქვს გამგეობის პრეზიდიუმს;

ე) გამგეობის პლენუმის მოწვევა ხდება წელიწადში ორჯერ მაინც.

გამგეობის რიგგარეშე პლენუმი შეიძლება მოწვეული იქნას გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

გამგეობის პლენუმი უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ორი მესამედი.

პლენუმის განსახილველი ყველა საკითხი წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

31. „მონკავშირის“ საქმიანობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის გამგეობის პლენუმი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს 11 კაცის რაოდენობით, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, აგრეთვე ამტკიცებს იმ სექციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ყალიბდება „მონკავშირის“ გამგეობასთან.

3. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი

32. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი წარმოადგენს გამგეობის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ყრილობისა და გამგეობის პლენუმის დადგენილებებს, და ამავე დროს წარმოადგენს არბიტრს სოციალისტური შეჯიბრებების და საზოგადოებებს შორის აღმოცენებულ სადაო საკითხების გადაწყვეტაში.

33. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი:

ა) ამტკიცებს დებულებას და ინსტრუქციებს, რომლებიც აწესრიგებენ კავშირში შემავალი ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს „მონკავშირის“ სანადირო სავარგულების ორგანიზაციის სისტემას და მათი სარგებლობის წესს, შტატებსა და ხელფასის ფონდს, მუშაობის გეგმასა და ხარჯთაღრიცხვას;

გ) ამტკიცებს კავშირში შემავალი ყველა ორგანიზაციის სამეურნეო ანგარიშებს, შტატებს, გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს და ბალანსებს;

დ) ამტკიცებს დებულებებს კონკურსების, შეჯიბრებებისა და საერთო ხასიათის სასწავლო-სასპორტო ღონისძიებების შესახებ „მონკავშირის“ ყველა ორგანიზაციისათვის;

ე) განაგებს „მონკავშირის“ უკლებლივ ყველა საქმეს და არის მისი წარმომადგენელი გამგეობის თავმჯდომარის ან მისი მოადგილეების სახით ყველა საქმეში დაწესებულებებთან ან კერძო პირებთან ურთიერთობაში;

ვ) ატარებს „მონკავშირში“ გაერთიანებული რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური სს რესპუბლიკების მონადირეთა საზოგადოებების წევრ მონადირეთა და მეთევზეთა, სანადირო იარაღის და სანადირო ძაღლების აღრიცხვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) იღებს, ინახავს და გასცემს „მონკავშირის“ კუთვნილ ან მისთვის მინდობილ ფასეულობებს და სხვა ქონებას;

თ) „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი ამ წესდების საფუძველზე იძენს, იჯარით იღებს და განასხვისებს ქონებას, იღებს სესხებს, იძლევა მინდობილობებს, სდებს ხელშეკრულებებს, გასცემს ვადიან ვალდებულებებს, იძიებს და პასუხს აგებს სასამართლოსა და სახარბიტრაჟში.

34. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი ფართოდ აბამს თავის მუშაობაში მონადირეთა და მეთევზეთა აქტივს. ამ მიზნით გამგეობის პრეზიდიუმთან ყალიბდება დარგობრივი სექციები: კინოლოგიური (სანადირო მეძაღლეობისა), სასროლო-სასტენდო, მავნე მტაცებელ ცხოველებთან ბრძოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო, მეთევზეობის, სამონადირეო მეურნეობისა, ნადირთმოშენებისა და სხვა.

სექციები მუშაობენ გამგეობის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებებისა და გეგმების საფუძველზე და მისი ხელმძღვანელობით.

35. გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის არა ნაკლებ 7 წევრისა.

გამგეობის პრეზიდიუმის სხდომები იწვევა თვეში ერთხელ მაინც.

სხდომაზე საკითხები წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ პრეზიდიუმის წევრი არ ეთანხმება უმრავლესობის დადგენილებას, მისი აზრი თავის მოთხოვნებით შეტანილ უნდა იქნას ოქმში.

4. სარევიზიო კომისია

36. „მონკავშირის“ და სათანადო საზოგადოებების გამგეობების მუშაობის შესამოწმებლად, ყრილობა, კონფერენცია (კრება) ირჩევს სარევიზიო კომისიას 3-7 კაცის შემადგენლობით.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისია თავის მუშაობაზე პასუხს აგებს ყრილობის, კონფერენციის, (კრების) წინაშე და ანგარიშს აბარებს მას.

37. სარევიზიო კომისია:

ა) ამოწმებს საზოგადოების შესაბამის გამგეობის (პრეზიდიუმის) მთელ სამეურნეო, საფინანსო და სამონადირეო საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აწარმოებს „მონკავშირის“ ყველა საწარმოს, სახელმწიფო საწყობის, მაღაზიისა და სხვა სამეურნეო ერთეულის დოკუმენტალურ რევიზიას;

გ) ამოწმებს „მონკავშირის“ ყრილობის, საზოგადოებების კონფერენციების (კრებების) დადგენილებათა შესრულებას.

38. სარევიზიო კომისიის წევრები ესწრებიან შესაბამისი გამგეობის (პრეზიდიუმის) სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

39. სარევიზიო კომისია, საჭიროების მიხედვით, აწყობს სხდომებს, თავის დადგენილებებს აცნობს გამგეობას (პრეზიდიუმს).

40. თუ გამგეობა (პრეზიდიუმი) სარევიზიო კომისიის დადგენილებას მიღების დღიდან ორი დეკადის ვადაში არ განიხილავს, — დადგენილება ითვლება მიღებულად სავალდებულო შესრულებისათვის.

41. საჭიროების შემთხვევაში სარევიზიო კომისია თავის დადგენილებებს და შემოწმების მასალებს წარუდგენს ყრილობის (კონფერენციის, კრების), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

42. იმ შემთხვევაში, თუ სარევიზიო კომისია გამგეობის (პრეზიდიუმის) მუშაობაში აღმოაჩენს ბოროტმოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა მოსთხოვოს გამგეობას საგანგებო ყრილობის, კონფერენციის (კრების) მოწვევა და ამის შესახებ აცნობოს ზემდგომ ორგანოებს.

43. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ გამგეობის წევრთა ახლო ნათესავები და აპარატის მუშაკები.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მონადირეთა საზოგადოებების გამგეობები

44. იმ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში და რაიონებში, რომლებშიც ითვლება არა ნაკლებ 100 მონადირისა და მეთევზისა, იქმნება მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები, რომლებსაც ეწოდება ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული მონადირეთა საზოგადოება.

45. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის (ოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქის) ქალაქის, რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენციებ (კრება), რომელსაც იწვევენ სამ წელიწადში ერთხელ.

46. კონფერენციის (კრების) მოწვევის დროს და კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებენ შესაბამისი. მონადირეთა საზოგადოებების გამგეობები საქართველოს „მონკავშირის" გამგეობის პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

47. ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენციები (კრებები) ირჩევენ ღია კენჭისყრით მონადრეთა საზოგადოების შესაბამის გამგეობებს, სარევიზიო კომისიებს, ამხანაგურ სასამართლოებს და საქართველოს მონადირეთა ყრილობის დელეგატებს.

48. რიგგარეშე კონფერენციის (კრების) მოწვევა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები შეიძლება მოხდეს „მონკავშირის" გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით, ან აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის) ქალაქის და რაიონის მონადირეთა საზოგადოებების გამგეობის ან მის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

49. კონფერენციათა შორის პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის) საარაიონო, საქალაქო, მონადირეთა საზოგადოებას ხელმძღვანელობს შესაბამისი მონადირეთა საზოგადოების გამგეობა, რომელსაც ირჩევენ 5—7 წევრის შემადგენლობით, სამი წლის ვადით და რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილე და გამგეობის წევრები.

50. გამგეობის სხდომებს იწვევენ თვეში ერთხელ მაინც და ისინი უფლებამოსილად ითვლებიან, თუ მათ წევრთა უმრავლესობა ესწრება.

51. ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), ქალაქის და რაიონის მონადირეთა საზოგადოების გამგეობა წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, მისი უფლება-მოვალეობანი წესრიგდება ამ წესდების იმ მუხლებით, რომლებიც განსაზღვრავენ „მონკავშირის" გამგეობის და გამგეობის პრეზიდიუმის უფლება-მოვალეობებს.

6. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივები

52. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივები იქმნება სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან, თუ იქ არის სულ ცოტა 5 მონადირე და მეთევზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. მონადირეთა და მეთევზეთა კოლექტივის უმაღლესი ორგანო-ნოს წარმოადგენს კოლექტივის წევრთა საერთო კრება, რომელსაც იწვევენ 3 თვეში ერთხელ მაინც.

54. კოლექტივის პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად, თუ მასში 10-მდე წევრია, ირჩევენ რწმუნებულს; თუ 11-დან 30-მდე, ირჩევენ რწმუნებულს და სარევიზიო კომისიას სამი კაცის შემადგენლობით; თუ წევრთა რიცხვი 31-დან 50-მდეა, ირჩევენ ბიუროს სამი კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიას 3 კაცის შემადგენლობით; თუ წევრთა რიცხვი 50-ზე მეტია, ირჩევენ ბიუროს 5 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიას 3 კაცის შემადგენლობით.

55. ბიუროს (რწმუნებულს) და სარევიზიო კომისიას ირჩევენ ღია კენჭისყრით, ერთი წლის ვადით.

კოლექტივის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით ან საზოგადოების ზემდგომი ორგანოების დადგენილებით — კოლექტივის ბიურო (რწმუნებული) შეიძლება გადარჩეულ იქნას ვადამდე ადრე.

56. კოლექტივის ბიურო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივან-ხაზინადარს.

57. მონადირეთა და მეთევზეთა კოლექტივებს შეუძლიათ იქონიონ თავიანთი სანადირო და სათევზაო ბაზები, სასროლო სტენდები, მონადირეთა ოთახები და კუთხეები, მოაწყონ ლექციები, საუბრები; შეჯიბრებანი სანადირო და სათევზაო სპორტში თავიანთი კოლექტივების მასშტაბით, მოაწყონ კოლექტიური და ინდივიდუალური გასვლები სანადიროდ და სათევზაოდ, რისთვისაც შეუძლიათ შეიძინონ სანადირო და სათევზაო ქონება, სანადირო ძაღლები და ავტოტრანსპორტი.

58. კოლექტივის ბიუროს (რწმუნებულს) აქვს თავისი სამკუთხედი ბეჭედი მისთვის მიკუთვნებული ნომრით.

7. მონადირეთა ამხანაგური სასამართლოები

59. „მონკავშირის“ წევრ მონადირეთა შორის დისციპლინის განმტკიცების მიზნით, შესაბამის გამგეობებთან 5—7 წევრის შემადგენლობით ირჩევა ამხანაგური სასამართლოები, რომლებსაც ირჩევს ყრილობა (კონფერენცია, კრება) დახურული (ფარული) კენჭისყრით და რომლებიც მუშაობენ „მონკავშირის“ ყრილობის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული დებულების მიხედვით, და ანგარიშს აბარებს კრებულობას (კონფერენციას, კრებას). სასამართლო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. ამხანაგური სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი გამგეობის წევრი.

V

„მონკავშირის“ სახსრები

სახსრების წყაროები

60. საქართველოს „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სახსრების წყაროს წარმოადგენენ:

ა) წევრთა შესასვლელი შენატანები;

ბ) საწევრო ანარიცხები;

გ) მოგება სამეურნეო საქმიანობისაგან.

61. „მონკავშირის“ და საზოგადოებების სახსრები იყოფა შემდეგ ფონდებად:

ა) ძირითადი ფონდი;

ბ) სათადარიგო ფონდი;

გ) სპეციალური ფონდი;

დ) კულტურული ფონდი;

ე) კადრების მომზადების ფონდი;

ვ) საპრემიო ფონდი;

ზ) ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი.

62. ძირითადი ფონდი შედგება „მონკავშირის“ წევრთა შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან და მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან.

63. სათადარიგო ფონდი იქმნება წმინდა მოგებისაგან და მისი დანიშნულებაა „მონკავშირის“ ოპერაციების შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა.

სათადარიგო ფონდს შესაბამისი გამგეობის ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

64. სპეციალური ფონდი შედგება წმინდა მოგების ანარიცხებისაგან.

სპეციალური ფონდები შეიძლება დაწესდეს რესპუბლიკური კრებულობისა და „მონკავშირის“ გამგეობის და მისი პრეზიდიუმის დადგენილებით სამონადირეო მეურნეობის, მეძაღლეობის, სასრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო-სასტენდო სპორტის, ნადირთმოშენებისა და „მონკავშირის“ სხვა საქმიანობის ორგანიზაციისა და განვითარების მიზნით.

65. კულტურული ფონდი, კადრების მომზადების ფონდი, საპრემიო ფონდი და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი იქმნება წმინდა მოგების ანარიცხებიდან.

კულტურული ფონდი გამოიყენება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის (საგამომცემლო, სალექციო, საბიბლიოთეკო და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე).

კადრების მომზადების ფონდი გამოყენებულ უნდა იქნას ნადირობათ-მცოდნეთა, სასროლო-სასტენდო სპორტის, სანადირო მეძაღლეობისა და სხვა დარგების სპეციალისტების მოსამზადებლად.

66. პრემიალური ფონდი გამოყენებული უნდა იქნას „მონკავშირის“ პრეზიდიუმის აპარატის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის და რაიონული მონადირეთა საზოგადოების გამგეობის აპარატის და მათი წარმოების მოწინავე მუშაკების, სპორტსმენი მონადირეების, მეთევზეების, მესტენდე მსროლელების, სანადირო ჯიშიანი ძაღლების გამოზრდის საქმეში ხელისშემწყობ მოწინავე კინოლოგების და მონადირეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში.

67. მუშაკთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის გამოყენება ხდება „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმის, საზოგადოების გამგეობათა აპარატის მუშაკების მატერიალურ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

68. შესასვლელი და საწევრო შენატანებისა და აგრეთვე ცალკეულ ფონდებში მოგების გადარიცხვისა და დარჩენილი მოგების გამოყენების ოდენობას განსაზღვრავს „მონკავშირის“ ყრილობა.

VI

მოგება და ზარალი

69. წმინდა მოგებას ანაწილებენ „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობები.

70. „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სამეურნეო მუშაობის შედეგად მიღებული ზარალი იფარება სათადარიგო ფონდიდან, ხოლო თუ იგი საკმარისი არ არის, ივსება ძირითადი ფონდიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

ანგარიშგება

71. „მონკავშირი“ და მასზე დაქვემდებარებული იურიდიული წევრები ანგარიშს აწარმოებენ ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი ფორმების და წესდების თანახმად.

72. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონული მონადირეთა საზოგადოების გამგეობები ანგარიშს უდგენენ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის გამგეობისათვის დაქვემდებარებული საქალაქო და რაიონული მონადირეთა საზოგადოების გამგეობები ანგარიშს უდგენენ შესაბამის ზემდგომ გამგეობებს.

73. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი ადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს ცნობებს საოპერაციო წლის განმავლობაში „მონკავშირის“ მთელი საქმიანობის შესახებ, და იგი წარედგინება მთავრობის შესაბამის სათანადო ორგანოებს.

საანგარიშო წელი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

VIII

„მონკავშირისა“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაცია

74. „მონკავშირისა“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს:

ა) ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებით;

ბ) ყრილობის (კონფერენციის, კრების) დადგენილებით;

გ) ზემდგომი შესაბამისი გამგეობის (პრეზიდიუმის) დადგენილებით;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არაშემძლეთ იქნა აღიარებული.

75. „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაციისა და მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მის

ფონდებსა და ქონებას, მისდამი წარდგენილი პრეტენზიებისა და აღებულ ვალდებულებათა დაკმაყოფილების შემდეგ. ... ნიშნულება, რომელსაც აწესებს სალიკვიდაციო ყრილობა (კონფერენცია, კრება), სასამართლო ან მთავრობა.

76. ლიკვიდაცია წარმოებს სასპორტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ არსებული კანონების შესაბამისად.

---

71 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულებების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 დეკემბრის № 1721 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დებულების მე-15 მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი გააუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებების, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შეაჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შეიტანს წარდგინებას ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 თებერვლის № 111 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობების სამინისტროს დებულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი გააუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მეურნეობის მმართველობის ორგანოების, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შეაჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შეიტანს წარდგინებას ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ".

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 548 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გააუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შეაჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შეიტანს წარდგინებას ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 21 ივლისი, № 463

72 თევზის მარაგის დაცვის და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს ინსპექციის სამსახურის იმ წესდების 13 და 14 მუხლების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეივსოს საქართველოს სსრ საქთევზდაცვის სამმართველოს ინსპექციის სამსახურის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით დამტკიცებული წესდების 13 და 14 მუხლები და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„13. თანახმად სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის და თევზჭერის რეგულირების დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით, თევზდაცვის ინსპექტორების, ტყის დაცვის მუშაკების და სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორების, საზოგადოებრივი ინსპექტორების დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს აღნიშნული დებულებისა და თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საქთევზდაცვის სამმართველოსთან შეიქმნება სპეციალური ფონდი სასამართლო წესით კონფისკებული ჭერის იარაღების, მცურავი საშუალებებისა და სასამართლო წესით გადახდევინებული ჯარიმების რეალიზაციისაგან მიღებული სახსრების 50-პროცენტიანი და ჩამორთმეული თევზის რეალიზაციისაგან მიღებული და ადმინისტრაციული წესით გადახდევინებული ჯარიმების 30-პროცენტიანი ანარიცხებისაგან.

შემოსული თანხების დანარჩენი ნაწილი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში“.

„14. თევზდაცვის ინსპექტორები, ტყის დაცვის მუშაკები და სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორები, საზოგადოებრივი ინსპექტორები, რომლებმაც უშუალოდ გამოავლინეს დარღვევები დებულებისა სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის და თევზჭერის რეგულირების შესახებ და თევზჭერის წესებისა, დაჯილდოვდებიან საპრემიო ფონდის სახსრებიდან იმ თანხის 80 პროცენტის რაოდენობით, რაც გადარიცხულია საპრემიო ფონდში და შემოსულია საქთევზდაცვის სამმართველოს მიმდინარე ანგარიშზე როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო წესით გადახდევინებული ჯარიმების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპრემიო ფონდის დანარჩენი ნაწილი დაიხარჯება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ბრძანებით თევზდაცვის სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოსაცემად და მოსახლეობაში მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის და თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების სხვა ღონისძიებებისათვის, აგრეთვე თევზდაცვის ინსპექტორების წასახალისებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა პირთა დასაჯილდოებლად თევზდაცვითი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში მაღალი მაჩვენებლებისათვის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 21 ივლისი, № 465

73 საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიის, აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს მიერ წარმოდგენილი მასალები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეულია საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და კაპიტალური რემონტის საქმის ერთგვარი გაუმჯობესება.

კაპიტალური რემონტის გეგმა ადგილობრივი საბჭოების მიხედვით შესრულებულია 1960 წელს 118,7 პროცენტით, მათ შორის ქ. თბილისში — 128 პროცენტით. წლითი-წლობით იზრდება კაპიტალური რემონტის მოცულობა — 1961 წლისათვის გეგმა დამტკიცებულია 8,1 მილიონი მანეთის რაოდენობით ნაცვლად 4,3 მილიონი მანეთისა 1958 წელს.

სახლმმართველობათა გამსხვილებამ და მათთვის შრომის ხელფასის ახალი პირობების შემოღებამ გააუმჯობესა სახლმმართველობების მუშაკთა შემადგენლობა და უზრუნველყო ბინების ტექნიკური

ექსპლუატაციის დონის ამაღლება. ძირითადად დამთავრებული
რივი ფონდის გადაცემა ადგილობრივი საბჭოებისათვის.

მაგრამ იმის გამო, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის მოვლა -პატრონობის საქმეს, შეუსრულებელი დარჩა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილებით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებანი.

თითქმის არც ერთ ქალაქში, გარდა თბილისისა, არ ჩატარებულა იმ საავარიო და საბარაკო ფონდის, აგრეთვე სარდაფების აღრიცხვა, რომლებიც მობინადრეებს უკავიათ, არსად არ არის შექმნილი სამანევრო ფონდი, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დროებით გადაასახლონ მობინადრენი კაპიტალური რემონტისა და აღდგენის პროცესში მყოფი სახლებიდან.

ჯერ კიდევ ხდება სახსრების დაქსაქსვა და სარემონტო სამუშაოების გაჭიანურება, ადგილი აქვს განმეორებითს რემონტს.

მაშინ როდესაც საფინანსო გეგმა 118,7 პროცენტით შესრულდა, კაპიტალური რემონტი დამთავრებულია 764 საცხოვრებელ სახლში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 881 სახლისა, ანუ 86,7 პროცენტით, ამასთან თბილისში გეგმით გათვალისწინებული 236 სახლის ნაცვლად შეკეთებულია 263 სახლი (107,2 პროცენტი).

რემონტისათვის საკმაოდ არ იყენებენ შენობების დაშლის შედეგად მიღებულ მასალებს; არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შენობების შიგა წყალსადენ-საკანალიზაციო ქსელი და საცხოვრებელი სახლების ელექტრომეურნეობა; სარემონტო კანტორების საწარმოო ბაზები არ არიან შეჭურვილი მექანიზმებით; სარემონტო კანტორებს არ გააჩნიათ საბრუნავი სახსრები, ისინი ტრანსპორტის ნაკლებობას განიცდიან; ჯერ კიდევ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც შეკეთებულ სახლებს დეფექტები აქვს და სამუშაოები დაბალი ხარისხითაა შესრულებული.

მთელ რიგ შემთხვევებში სახლმმართველობებს ახალ საცხოვრებელ სახლებს გადასცემენ დაუმთავრებელი სახით, განსაკუთრებით სანტექნიკური კომუნიკაციებისა და გათბობის სისტემის ნაწილში; ტერიტორიის კეთილმოწყობა ჩამორჩება ახალი სახლების მშენებლობას, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს და აუარესებს მათ ექსპლუატაციას და მოითხოვს დანახარჯებს კაპიტალური რემონტის სახსრების ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში საცხოვრებელი ფონდი აქვთ:

ა) ერთი თვის ვადაში განიხილონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის, მისი ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ძირეულად გაუმჯობესებას.

ორი თვის ვადაში ჩაატარონ აღრიცხვა ძველი ავარიული სახლებისა, ძველი საბარაკო ფონდისა, რომლებიც აღებულ უნდა იქნას, აგრეთვე სარდაფებისა, რომლებშიაც მობინადრენი ცხოვრობენ, და აღრიცხვის შედეგები წარუდგინონ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ასლი — ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს;

ბ) შეიტანონ კაპიტალური რემონტის გეგმებში უწინარეს ყოვლისა ავარიული სახლები იმ ანგარიშით, რომ 1965 წლისათვის მოხდეს ასეთი სახლების სრული ლიკვიდაცია;

გ) საბრუნავი სახსრებით განამტკიცონ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც კაპიტალური რემონტის სამუშაოებს ახორციელებენ სახლმმართველობებთან ხელშეკრულებებით; მოაწყონ მათთან სამასალე ეზოები, რომლებიც კარგად უნდა იქნან აღჭურვილი მექანიზმებითა და ინვენტარული მოწყობილობით (ამწე ონკანები, ბეტონ და ხსნარსარევები, ტრანსპორტერები, ლითონის ინვენტარული ხარაჩოები და სხვ.); არ დაუშვან კაპიტალური რემონტი ისე, თუ შედგენილი არ იქნება შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია; უზრუნველყონ ძველი ლითონის სახურავების შეცვლა შიფერის ან სხვა მასალებისაგან დამზადებული სახურავებით;

დ) მკაცრი კონტროლი გაუწიონ საშენი მასალების გამოსავალს ნაგებობათა აღებისაგან და ფართოდ შემოიღონ მათი განმეორებით გამოყენება საცხოვრებელი ფონდის რემონტისათვის;

ე) ფართოდ გამოიყენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილებით მინიჭებული უფლება კაპიტალური რემონტის სახსრების ხარჯზე საცხოვრებელი სახლე-

ბის კეთილმოწყობის გაუმჯობესების სამუშაოთა შესრულებისა; ყოველწლიურად გაადიდონ კაპიტალური რემონტის გეგმებით საღუმელე გათბობის შეცვლა კაპიტალურ სახლებში ცენტრალური გათბობით, ჯგუფური საქვაბეების, სანტექნიკური კომუნიკაციების დამხმარე საყოფაცხოვრებო ნაგებობების მოწყობა, ეზოების კეთილმოწყობა და სხვ.;

ვ) მუშახელის რაციონალურად გამოყენების მიზნით მოაწყონ რამდენიმე სპეციალობის სწავლება მუშებისათვის;

ზ) მოაწყონ კაპიტალური რემონტი კომპლექსურად ისე, რომ წესრიგზე იქნას მოყვანილი საცხოვრებელი სახლები მთელ კვარტალებში, იმავდროულად გაატარონ შენობების რეკონსტრუქცია და კვარტალების ტერიტორიის კეთილმოწყობა;

თ) იმის გამო, რომ პროფილაქტიკური მიმდინარე რემონტი, რომელიც თავიდან აგვაცილებს შენობათა წინასწარ გაცვეთას, უნდა გახდეს საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლუატაციის საფუძველი, ძირეულად გაუმჯობესონ მიმდინარე რემონტის ორგანიზაცია, უზრუნველყონ სახლმმართველობები მოწყობილობითა და სახელოსნოებით, დააკომპლექტონ ეს სახელოსნოები რემონტის მუშათა კადრებით;

ი) 1962 წლის დამლევამდე შექმნან სამანევრო საცხოვრებელი ფონდი, რომელშიაც გადასახლებული იქნებიან მობინადრეები მათი საცხოვრებელი სახლების აღდგენითი და კაპიტალური რემონტის წარმოების დროისათვის;

კ) 1965 წლის დამლევამდე უზრუნველყონ იმ პირთა გადასახლება, რომლებიც სარდაფებსა და საცხოვრებლად გამოუსადეგარ შენობებში ცხოვრობენ, ხოლო განთავისუფლებული ფართობი გადააკეთონ ფარდულებად და სარდაფებად ამ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის, აგრეთვე თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, — სახლის სამრეცხაოებად;

ლ) გაუმჯობესონ საცხოვრებელი სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა უზრუნველყოფა ადგილობრივი და რესპუბლიკური მრეწველობის საწარმოებში დამზადებული მასალებითა და მოწყობილობით;

მ) არ დაუშვან კაპიტალურად შეკეთებული ისეთი სახლების მიღება-ჩაბარება, რომლებსაც აქვთ დეფექტები და რომლებზედაც სარემონტო სამუშაოები შესრულებულია დაბალი ხარისხით; უზრუ-

ნველყონ სახლთა საზოგადოებრივი კომიტეტებისა და მეზობლებ-
თა წარმომადგენლების მონაწილეობა მიმღებ კომისიებში;

ნ) გააძლიერონ სახლთა საზოგადოებრივი კომიტეტების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, მიაღწიონ მათს აქტიურ მონაწილეობას სახლმმართველობათა მუშაობაში. პერიოდულად მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე ანგარიშები კომიტეტების საქმიანობის შესახებ;

ო) გააძლიერონ საბინაო სამმართველოებისა და სარემონტო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ სათანადოდ ჩატარდეს საცხოვრებელი შენობების რემონტი და შენახულ იქნას ისინი სანიმუშო ტექნიკურ მდგომარეობაში; სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათს საქმიანობას კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სახსრების მიზნობრივად ათვისების საქმეში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სარემონტო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას, მათი თვითღირებულების შემცირებას და სამუშაოთა დაწყებისა და დამთავრების ვადების დაცვას;

პ) გააუმჯობესონ კონტროლი საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის სახსრების მიზნობრივად გამოყენებისა და დანახარჯების დაგეგმვის სამუშაოთა შესრულებისადმი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს გადაჭრით გააუმჯობესონ ადგილობრივი საშენი მასალების — გაჯის, კრამიტის, ხე-ტყის მასალის, საღებავებისა და სხვათა ხარისხი, რომლებსაც მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები უშვებენ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) გამოყოს საშენი მასალები მიზნობრივი დანიშნულებით სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის მტკიცედ იმ ნორმების მიხედვით, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ;

ბ) ყოველწლიურად გამოყოს მოწყობილობა და მექანიზმები იმ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მოსამარაგებლად, რომლებიც საცხოვრებელი ფონდის კაპიტალურ რემონტს ახორციელებენ;

გ) აღძრას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე საკითხი, რათა გამოყოს ქ. თბილისის სახლმმართველობათა საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებისათვის „ტუმ“-59 მარკის 20 სატრანსპორტო-ასალები მენქანა, რომლებსაც ლენინგრადის საბინაო სამმართველოს საბინაო-ექ მექანიკური ქარხანა ამზადებს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს 1961-1962 წლების განმავლობაში ყველა გამსხვილებული სახლმმართველობა ტელეფონებით, შესაბამისი საქალაქო საბინაო სამმართველოების განაცხადებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს რეგულარულად უზრუნველყოს ტრანსპორტით სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც კაპიტალური რემონტის სამუშაოებს ახორციელებენ.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოაწესრიგოს სახლმმართველობათა ურთიერთდამოკიდებულება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურებთან იმ ნაწილში, რომლებიც შეეხება საცხოვრებელი ფონდის დერატიზაციას დასამუშავებელი ფართობის მტკიცე შესაბამისობით.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას გააძლიეროს კონტროლი კაპიტალური რემონტის სახსრების ხარჯვისადმი და სისტემატურად აწარმოოს შეკეთების პროცესში მყოფი სახლების საკონტროლო აზომვა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს:

ა) შეიმუშაოს და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამარტივდეს ბინის დამქირავებლებთან ანგარიშსწორება საბინაო ქირისა და კომუნალური მომსახურებისათვის (წყალი, განათება, ცენტრალური გათბობა და სხვ.);

ბ) დაამუშაოს საკითხი, რომ ქუჩების დასუფთავება გადაეცეს დასუფთავების კანტორებს ისე, რომ სახლმმართველობებს დარჩეს ეზოების დასუფთავება;

გ) გააძლიეროს ადგილობრივი მეურნეობის სისტემის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებთან შიგასაბინაო რემონტის წარმოების კანტორები.

9. ნება დაერთოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს შექმნას საჭიროების მიხედვით, ახალი სახლმმართველობები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში იმ საშტატო ნორმატივებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესაბამისად, რაც დამ-

ტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 703 დადგენილებით „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების გამსხვილებისა და სახლმმართველობების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 21 ივლისი. № 466

74 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესების შესახებ

„საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 30 მაისის № 487 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღინიშნოს, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის სწორად განხორციელების ძირითადი პირობა საზოგადოებრივად სასარგებლო ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების მიმართულებით, არის მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკური ცოდნის შემდგომი დონის ამაღლება.

2. დაწესდეს, რომ სპეციალობების სიებს ყოველი საწარმოო-სწავლებიანი სკოლისათვის, სასწავლო-საწარმოო ბაზის ჩვენებით, მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის ამტკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი.

რეკომენდებულ იქნას, რომ ყოველ ცალკეულ კლასში მოსწავლეთა მომზადება წარმოებდეს, როგორც წესი, არა უმეტეს ორ სპეციალობაში.

ამასთან შეიქმნას საჭირო პირობები იმისათვის, რომ ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომელსაც სურს დაიწყოს მუშაობა რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, შეეძლოს მიიღოს პროფესიული მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და კურსებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს, რომ პროფესიული სწავლება საშუალო სკოლაში ხორციელდება სამი წლის მანძილზე (IX-XI კლასებში). მოსწავლეთა თავდაპირველი მომზადება, როგორც წესი, უნდა წარმოებდეს ჯგუფური მეცადინეობის სახით საწარმოთა სასწავლო საამქროებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, მოსწავლეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებში. მოსწავლეთა პროფესიული სწავლების დასრულება უნდა განხორციელდეს შესასწავლ სპეციალობაში მუშაობასთან შეთანხმებით საწარმოთა საამქროებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, კულტურის დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე სასწავლო-საცდელ მეურნეობებში უპირატესად ახალი ტექნიკით და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გათვალისწინებით.

არასწორად იქნას მიჩნეული ისეთი პრაქტიკა, როცა იმ სასწავლო დროს, რომელიც გათვალისწინებულია შესასწავლ პროფესიებში პრაქტიკული მეცადინეობისა და მწარმოებლური შრომისათვის მოსწავლეებს იყენებენ ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოო სწავლებასთან.

4. საშუალო სკოლებში საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილი სასწავლო საამქროები, მალები და უბნები, აგრეთვე სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები იხსნება მხოლოდ პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სანიტარული ინსპექციის ნებართვით.

5. დაწესდეს, რომ სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების შემოსავალი რჩება სკოლების განკარგულებაში და იხარჯება პირველ რიგში სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე, აგრეთვე მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის მოწყობაზე.

6. დაწესდეს, რომ საწარმოოსწავლებიანი სკოლების IX-XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისას გამოყენებული კვალიფიციური მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების, რიცხვი და ხელფასის ფონდი შედის წარმოებების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციათა შრომის გეგმებში.

საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ მუშაკებზე დახარჯული თანხების ანაზღაურება წარმოებს საშუალო სკოლების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობების იმ აგრონომიული და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება, რომელიც გამოყენებულია საშუალო სკოლების IX-XI კლასების საწარმოო სწავლებისათვის, წარმოებს სკოლების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სახსრებიდან.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად, რისთვისაც:

ა) უზრუნველყონ განათლების არდგილობრივი ორგანოების განაცხადის შესაბამისად იმ ქალიშვილთა და ჭაბუკთა სამუშაოზე მოწყობა, რომლებმაც დაამთავრეს საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლა; მათ მიერ მიღებული სპეციალობების შესაბამისად, დაჯავშნონ ადგილები საწარმოებში, მშენებლობებსა და ორგანიზაციებში სამუშაოდ მათი მოწყობის მიზნით;

ბ) საშუალო სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის აუცილებელ სასწავლო-მატერიალური ბაზების შექმნის მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 ივლისის № 790 დადგენილების შესაბამისად, 1962—1965 წლებში განახორციელონ, სადაც ეს საჭიროა, სასწავლო საამქროების, მალებისა და უბნების მშენებლობა და მოწყობა საწარმოთა მშენებლობისათვის გამოყოფილ საერთო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე; აგრეთვე ახალ სამრეწველო საწარმოთა აგების დროს გაითვალისწინონ სასწავლო საამქროების მშენებლობა საშუალო საწარმოოსწავლებიანი სკოლების მოსწავლეთათვის.

დაწესდეს, რომ სასწავლო საამქროები, მალები და უბნები წარმოადგენენ საწარმოების განუყოფელ ნაწილს. მათი შტატი განისაზღვრება მოცემული საწარმოს შრომის ლიმიტის ფარგლებში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) სისტემატური მუშაობა აწარმოონ მოსწავლეთათვის პროფესიათა არჩევაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, რვაწლიან და საშუალო სკოლების მოსწავლეებს ჩაუტარონ კონსულტაციები კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სასახლეებში, მუზეუმებში, სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში; უზრუნველყონ წიგნების გამოცემა სხვადასხვა ენრფენსიების მიხედვით და მოკლემეტრაჟიანი ფილმების გამოშვება ამ თემებზე;

ბ) მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის, აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის წესებისა და შრომის კანონმდებლობის ზუსტი დაცვისათვის, საშუალო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების განხორციელების დროს პასუხისმგებლობა სკოლების დირექტორების თანაბრად დააკისრონ იმ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, სადაც მიმდინარეობს მოსწავლეთა საწარმოო სწავლება;

გ) უზრუნველყონ სპეციალური ტანსაცმლით იმ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საწარმოო სწავლებაში ჩაბმული საშუალო სკოლების მოსწავლეები, სადაც გათვალისწინებულია სპეციალური ტანსაცმლის გაცემა მუშებსა და მოსამსახურეებზე, ამ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯზე და იქ არსებული ნორმების მიხედვით;

დ) შეიმუშაონ და ორი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მოთხოვნილებები, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, 1962-1965 წლებში საჭირო კვალიფიციურ მუშათა იმ კადრებზე, რომელთა მომზადება შეიძლება საწარმოოსწავლებიანი სკოლების მოსწავლეთა რიცხვიდან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსა და უწყებებთან ერთად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მოთხოვნათა გათვალისწინებით, დააზუსტოს იმ პროფესიების სია, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს საწარმოო-სწავლებიან საშუალო სკოლებში მასობრივი პროფესიების მუშაკების მომზადება;

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს მსხვილ, მოწინავე მექანიზებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში IX-XI კლასების შემადგენლობით სარაიონთაშორისო რაიონული საწარმოოსწავლებიანი სკოლების შექმნის გეგმა;

გ) მოაწყოს სოფლის ყველა საშუალო სკოლისათვის, საცდელი მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლო-საცდელ მეურნეობებში, მოცემული რაიონის საცდელ-საჩვენებელ მეურნეობათა თემატიკის გათვალისწინებით;

დ) ნება დართოს რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს შევიდნენ იმ სკოლების მეცხრე კლასში, სადაც ისწავლება მათთვის საინტერესო სპეციალობანი, სკოლების მიკრორაიონების მიუხედავად;

ე) იმ მოსწავლე ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე, რომლებიც დაამთავრებენ საწარმოოსწავლებიან საშუალო სკოლას და ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალურ საგნებში და შეასრულებენ საკვალიფიკაციო საცდელ სამუშაოს, სიმწიფის ატესტატთან ერთად გასცეს მოწმობები საკვალიფიკაციო თანრიგისა და სპეციალობის ჩვენებით;

ვ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსა და უწყებებთან ერთად 1963 წლის პირველ აგვისტომდე დაამუშაოს და გამოსცეს საწარმოო სწავლების პროგრამები სკოლებში წამყვან მასობრივ პროფესიებში, ტიპური პროგრამები ცალკეული ჯგუფებისათვის არამასობრივ პროფესიებში და ამასთან დააწესოს პროგრამების შედგენის წესი ადგილებზე ტიპიური პროგრამების საფუძველზე, შეარჩიოს მასობრივ პროფესიათა მუშების მოსამზადებლად საუკეთესო სახელმძღვანელოები, გადაამუშაოს ისინი ადგილობრივი პირობების შესაბამისად საშუალო სკოლის მოთხოვნილებათა საფუძველზე და გამოსცეს 1962-1963 წლებში საჭირო ტირაჟით.

ამავე ვადებში მოამზადოს და გამოსცეს საწარმოო საგნების ის სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც ამჟამად სკოლებს არ გააჩნიათ;

ზ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტიპური დებულების საფუძველზე შეიმუშაოს საშუალო საწარმოოსწავლებიანი სკოლის დებულება, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

თ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოოსწავლებიანი სკოლებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთ-დინარე წლის 10 აგვისტომდე გადასინჯოს საქართველოს სსრ განათ-ლების სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების აპარატის სტრუქტურა და შტატი და სათანადო წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის საწარმოოსწავლებიან სკოლებში ისეთი კადრების მომზადებას, რომლებსაც კარგად ეცოდინებათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შეეძლებათ ტრაქტორსა და კომბაინზე მუშაობა, ექნებათ სათანადო ცოდნა აგროტექნიკასა და მეცხოველეობაში, აგრეთვე გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და მშენებლობის დარგში მასობრივი პროფესიების კადრების მომზადება.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამთავრებენ სოფლის საწარმოოსწავლებიან სკოლას და ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, ნება დაერთოს მიეცეთ დადგენილი წესის თანახმად ტრაქტორის მართვის უფლების მოწმობა;

ბ) მუდმივი დახმარება გაუწიონ სოფლის სკოლებს მოსწავლეთა საცდელი მუშაობის დარგში. მოამარაგონ ისინი ჯიშიანი თესლით, გაუწიონ მათ ინსტრუქტაჟი საცდელი მუშაობის ორგანიზაციის მეთოდიკისა და ამ მუშაობის შედეგების აღრიცხვის საქმეში;

გ) განსაზღვრონ ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით იმ მიწის ნაკვეთებისა და საწარმოო ობიექტების სახეობა და ოდენობა, რომლებიც საწარმოო სწავლებისათვის უნდა გამოეყოს სკოლებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე უზრუნველყონ სოფლის საწარმოოსწავლებიანი სკოლები ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და ინვენტარით.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უზრუნველყონ იმ სკოლების მოსწავლეთა ყოველწლიური ღრმა სამედიცინო შემოწმება, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნილებათა შესაბამისად შეიმუშაოს საწარმოოსწავლებიან სკოლებში კვალიფიციური მუშების მომზადების წლიური და პერსპექტიული გეგმები საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის დადგენილი პროფესიების მიხედვით და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს და 1962-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინოს სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-სახელოსნოების მშენებლობა იმ საშუალო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების საწარმოო სწავლება შეუძლებელია მოეწყოს საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე, აგრეთვე უზრუნველყოს მოწყობილობისა და მასალების ფონდების ყოველწლიურად გამოყოფა სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სასწავლო მიზნებისათვის და განსაზღვროს დამზადებული პროდუქციის რეალიზაციის წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 24 ივლისი, № 470

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის შესასყიდი ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1961 წლის მოსავლის ვაშლისა და მსხლის შემდეგი შესასყიდი და ჩასაბარებელი (საბჭოთა მეურნეობებისათვის) ფასები, რომლებიც შეფარდებულია საქართველოს სს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მიხედვით პომოლოგიურ დაჯგუფებასთან 220—60:

(მანეთობით ტონაში)

	სტანდარტული ვაშლისა			სტანდარტული მსხლისა	
	სასაქონლო ხარისხი			სასაქონლო ხარისხი	
	I	II	III	I	II
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	450	380	285	450	380
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	360	300	225	360	300
მესამე პომოლოგიური ჯგუფი	250	200	150	200	160

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 ივლისის № 618 და 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილებანი იმ ნაწილში, რომელიც ვაშლისა და მსხლის შესასყიდ ფასებს შეეხება.

2. ნება დაერთოს დამამზადებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შეისყიდონ სამრეწველო გადამუშავებისათვის გამოსადეგი ახალი არასტანდარტული კურკოვანი ნაყოფი მეორე ხარისხის ქლიავის, ატმის, ჭერამის, ბლისა და ალუბლის ფასის, ბაღის შინდისა და ტყემლის სტანდარტული პროდუქციის ფასის 50 პროცენტის ფასად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დამტკიცდეს ახალი კურკოვანი და თესლოვანი ნაყოფის მეასასყიდი და ჩასაბარებელი (საბჭოთა მეურნეობებისათვის) ფასების თანდართული შეჯამებითი ნუსხა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 7 აგვისტო, № 495

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 7 აგვისტოს № 495 დადგენილებით

ფეჯამეგბითი ნუსხა

ახალი თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის შესასყიდი (კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისაგან) და ჩასაბარებელი (საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის) ფასებისა

(მანეთობით ტონაში)

თესლოვანი ნაყოფი	სასაქონლო ხარისხი		
1. ვაშლი	I	II	III
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
ზამთრის ბანანი, ყვითელი ბელფლორი, ვაგნერი საპრიზო, ქართული სინაპი, თეთრი კალვილი ზამთრის, კანდილ სინაპი, ზამთრის კალვილი წითელი, კეხურა, კანადის რენეტი, მსუქანა, ნაპოლეონი, ლონდონის პეპინი, ორლეანის რენეტი, ზამთრის ოქროს პარმენი (ზოლებიანი შაფრანი). ბაუმანის რენეტი, კოკოსის რენეტი ნარინჯის ფერი, კასელის დიდი რენეტი, თეთრი როზმარინი, შამპანური	450	380	285
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
აბილაური, აჭარული, ასტრახანის წითელი, ასტრახანის თეთრი, აპორტი, ანანასის რენეტი, ჩინური ბელფლორი, პარკოსანი, გორა ვაშლი, ბოტია, ვორონცოვკა (ტიროლკა), ჯონატანი, ოქროსთესლა შემოდგომის წითელი კალვილი, კალვილ ლეზანი, ყინულა, ყირიმული, კუდიანი ყირიმული, მეფის მოკლეფეხა, კიტრა, ლიმონის, ლაგოდეხის რენეტი, ლეჩხუმის შაფრანი, მამულო, მეფის ვაშლი, მერეთული, მეკინტოში, მონტუანერი, მიხაკის ვაშლი (ყარაფილი) მუხურული, პარკერის პეპინი, ატმისებური, ინგლისური რენეტი, ბოიკენის რენეტი, ბისმარკის რენეტი, ბლენგეიმის რენეტი, ობერდიკის რენეტი, სიმირენკოს რენეტი, ლანდსბერგის რენეტი, რკინავაშლი (დემირი), როდე, სარი სინაპი, ნაცრისფერი ფრანგული რენეტი, სუისლეპის (სოხუმის შამპანური), თურაშაული, ხანდაკურა, შაქარნაბადა, ჩინური შაფრანი	360	300	225
მესამე პომოლოგიური ჯგუფისა			
არაბული, კეთილშობილი ყვითელი, დანა-ვაშლი, კეთილი დიასახლისი, ზერთული კონა-ვაშლი, ნაბადა, ჩალი-ვაშლი, ხომანდული, შაქარა ვაშლი, ერბო-ვაშლი ნისკარტა, ნესტერეცი, რაჭული, რძე-ვაშლი, სირმა, და სხვ.	250	200	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მ ს ხ ა ლ ი

	სასაქონლო ხარისხი I	H
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა		
ბერე არდანპონი, ოლივიე დე-სერი, ზამთრის ტულუზა, დიუშეს დანულემი, პას-კრასანი, ვილიამსი (დოენე), ზამთრის ვილიამსი (კიურე), კაიფერის თესლნერგი, სოხუმის დიუშესი, ნანაზირი, გარძემა, მილახური, ზამთრის დეკანკა, ბერე-ბოსკი, ბერე-დილი, სენჟერმენი, ბერე-გარდი, ეოზეფინა მიხელსკაია .	450	380
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა		
ხეკეკურა, გოხა მსხალი თავრიზული, ანუჟის მზეთუნახავი, კეთილი ლუიზა, შემოდგომის დეკანკა, გულაბი, კლაპის ფავორიტი, ესპერანის ბერგამოტი, მადამ ფრანსი	360	300
მესამე პომოლოგიური ჯგუფისა		
მსხლის ყველა დანარჩენი კულტივირებული ჯიშები	200	160

15 დეკემბრის შემდეგ შესყიდულ ახალ ვაშლსა და მსხალში გაიცემა დაწესებული შესასყიდი ფასების ფულადი დანამატი შემდეგი ოდენობით: . . .

15 დეკემბრიდან 15 იანვარამდე — 10 პროცენტი
15 იანვრიდან 15 თებერვლამდე 20 პროცენტი
15 თებერვლის შემდეგ (წინა წლის მოსავალზე) — 30 პროცენტი

სამრეწველო გადამუშავებისათვის გამოსადეგ არასტანდარტულ ვაშლსა და მსხალში:

	ვაშლი	მსხალი
1 სექტემბრამდე	80	80
1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე	100	100
1 ოქტომბრის შემდეგ	150	

3. ა ხ ა ლ ი კ ო მ შ ი

	სასაქონლო ხარისხი I ხარისხი	II ხარისხი
პირველი პომოლოგიური ჯიშისა		
მალაჩინა, ქართული მეავეტკბილი, საკომპოტე, ლაგოდეხის მსხვილნაყოფა	300	250
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა		
ყველა დანარჩენი ჯიში	250	200

სასაქონლო გადამუშავებისათვის გამოსადეგ არასტანდარტულ კომშში — 100 მანეთი ტონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურკოვანი ნაყოფი

	სასაქონლო ხარისხი I	II	არასტანდარტული, სამრეწველო გადამუშავებისათვის გამოსადეგი, არა უმეტეს:
1. ქლიავი			
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
იტალიური ვენგერკა, მწვანე რენკლოდი, ანნა შპეტი, ატმისებრი, ალტანის, რენკლოდი, დიდი ჰერცოგი ეკატერინე	300	200	100
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
ყველა დანარჩენი ჯიში	200	150	75
2. ატამი			
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
გავაზური, ოქროს იუბილე, სოხუმის საგვიანო ყვითელი, ხიდისთავური თეთრი, ჩემპიონი, ელბერტა, ხიდისთავური ვარდისფერი, ბესტავაშვილი, ცედისური, ხიდისთავური ყვითელი საგვიანო, მოლოზანი (ბერების ატამი), გუდაუთის საკონსერვო, ხირსული, კახური თეთრი, კამბერლენდი, სკრის საადრიო ვარდისფერი, ერისთავი, გორის საადრიო, ამსდენი . . .	500	350	175
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
ყველა დანარჩენი ჯიშები	300	200	100
3. ჭერამი			
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
წითელი პარტიზანი, შალახი, ალიპრიალა, შირაზული, აღჯანაბდი, კაისი	300	200	100
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
ყველა დანარჩენი ჯიშები	200	150	75
4. ბალი			
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
დროგანა ყვითელი, თათრული შავი, ნაპოლეონი ვარდისფერი, ხარის გული, ადგილობრივი საადრიო ესპერანის ბიგარო	300	240	120
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
ყველა დანარჩენი ჯიშები	200	160	80

ეროვნული ბიბლიოთეკა

	სასაქონლო ხარისხი		არასტანდარტული ტყავის ამოსაგები, ზეადი მუშავებისათვის გამოსადეგი, არა უმეტეს:
	I	II	
5. ალუბალი			
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
პოდბელსკაია, ქართული, შპანის მსხვილი, ინგლისური საადრიო	350	280	140
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
ყველა დანარჩენი ჯიშები	250	200	100
6. ტყემალი, ალუჩა. მერაბელი			
პირველი პომოლოგიური ჯგუფისა			
გულდედავა, ალუჩის. ტყემლის და მერაბელის ყველა მსხვილნაყოფა ბაღის ჯიშები	200	—	100
მეორე პომოლოგიური ჯგუფისა			
ტყემლისა და მერაბელის ყველა დანარჩენი ჯიშები	150	—	75
7. ბაღის შინდი	300	—	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

76 საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 სექტემბრის № 1178 დადგენილება „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 7 აგვისტო, № 497

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 7 აგვისტოს № 497 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო უშუალოდ და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისა და მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მეშვეობით ხელმძღვანელობს საქართველოს სს რესპუბლიკაში სოციალური უზრუნველყოფის მთელ საქმეს.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ეკისრება:

ა) ხელმძღვანელობის გაწევა იმ პენსიებისა და დახმარების დანიშვნისა და გაცემისადმი, რომლებიც დაწესდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესაბამისად;

ბ) საექიმო-შრომითი ექსპერტიზის მოწყობა შრომისუნარიანობის მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვის დასადგენად და შრომის უნარიანობის დაკარგვის ხარისხის (ინვალიდობის ჯგუფის) გამოსარკვევად;

გ) ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და პროფესიული სწავლების, ავრეთვე პენსიონერების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების და მათი ოჯახის წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება;

დ) მოსახლეობისადმი საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების მოწყობა;

ე) მოხუცთა და ინვალიდთა სახლებში მყოფი მოქალაქეების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება;

ვ) საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროების, პენსიონერთა ურთიერთდახმარების სალაროების საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი;

3. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო:

ა) მოაწყობს მუშაობას და განახორციელებს კონტროლს პენსიებისა და დახმარების დანიშვნისადმი, დააყენებს საკითხებს, რომ გაუქმდეს ან გადაისინჯოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული პენსიების დამნიშნავი კომისიების და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დამნიშნავი კომისიების გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლს გაუწევს მრავალშვილიანი დედებისათვის
წოდების „გმირი დედის“ მისანიჭებლად და „სახელოვანი-დედის
ორდენით და „დედობის მედლით“ დასაჯილდოებლად წარდგენების
მომზადებასა და გაფორმებას; დააწესებს საპენსიო მოწმობების ფო-
რმებს;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს საექიმო-შრომითს ექსპერტიზას
საქართველოს სს რესპუბლიკაში; შეიმუშავებს და გამოსცემს მე-
თოდურ მითითებებს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის შესახებ; კონ-
ტროლს გაუწევს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორ-
განოების მეშვეობით და უშუალოდ საექიმო-შრომითი საექსპერტო
კომისიების მუშაობას, უზრუნველყოფს საექიმო-შრომითი საექ-
სპერტო კომისიების დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებათა გაუქმებას
ან გადასინჯვას;

გ) მოაწყობს სასწავლებლებსა და საწარმოებს ინვალიდთა პრო-
ფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მათ მიერ სხვა პროფესიების
შესწავლისათვის, განახორციელებს მათდამი ხელმძღვანელობას
და კონტროლს გაუწევს ინვალიდთა სწავლებას და მათ მიერ სხვა
პროფესიების შესწავლას სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგა-
დოებრივ ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებსა და
კოლმეურნეობებში;

დ) მოაწყობს მუშაობას და განახორციელებს კონტროლს პერ-
სონალური პენსიონერების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსა-
ხურებისადმი; მისცემს საპენსიო წიგნაკებს იმ პირებს, რომლებსაც
დაენიშნათ საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონა-
ლური პენსიები და აძლევს ამ პირებს პენსიებს დადგენილი წესით;
განახორციელებს კონტროლს ადგილობრივი მნიშვნელობის პერ-
სონალური პენსიების გაცემისადმი;

ე) შეამოწმებს როგორც უშუალოდ, ისე თავისი ადგილობრივი
ორგანოების მეშვეობით, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორ-
განიზაციების მუშაობას ინვალიდთა, პენსიონერთა, მათი ოჯახების
წევრთა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა შრომითი მოწყო-
ბისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში და
განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ მიენიჭოთ მათ დაწე-
სებული შეღავათები და უპირატესობანი; დაამტკიცებს მშრომელთა
დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების
სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან მოწყობილ
პენსიონერთა ურთიერთდახმარების სალაროების ტიპობრივ წეს-
დებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ემეხუცოთა და ინვალიდთა სახლებში მყოფ მოქალაქეთა მომსახურებისა და ჯობესებისათვის;

ზ) დაგეგმავს და მოაწყობს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციისადმი;

თ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სასწავლებლების (სასწავლო-საწარმოო ტექნიკური სკოლები, სასწავლო წარმოებებისა და სხვ.), მოხუცთა და ინვალიდთა სახლების და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; შეიმუშავებს დადგენილი წესით ამ დაწესებულებებში სახსრების ხარჯვის ნორმატივებს;

ი) მოაწყობს მოსახლეობაში მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

კ) აწარმოებს მშრომელთა მიღებას, განიხილავს მათ წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც სამინისტროში შემოდის, და ამ წერილების, საჩივრებისა და განცხადებების მიხედვით მიიღებს საჭირო ზომებს;

ლ) მოაწყობს საგეგმო-საფინანსო მუშაობას სამინისტროს სისტემაში, შეადგენს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელისა და კონტინგენტების განვითარების პრესპექტიულ და წლიურ გეგმებს, საპროთეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა წარმოების შრომისა და ხელფასის, კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმებს;

მ) შეადგენს დაფინანსების შეჯამებითს გეგმებს, აგრეთვე დაამტკიცებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს და განახორციელებს მათი შესრულებისადმი კონტროლს;

ნ) დადგენილი წესით დაამტკიცებს შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მშენებლობას და განახორციელებს კონტროლს ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებებისა და საწარმოების მშენებლობისადმი;

ო) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საპროთეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა წარმოებას და დაადგენს ამ ნაკეთობებზე ფასების ლეობის მომარაგების წესს;

პ) ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარებულ წარმოებითს საწარმოებს დანერგავს აღნიშნულ საწარმოებში ახალ მოწინავე ტექნიკასა და უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიას, განახორციელებს საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას; განახორციელებს ღონისძიებებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. შრომის დაცვისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის; ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგში; ხელს შეუწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმოებში;

ჟ) მოაწყობს მუშაობის გამოცდილების გაზიარებას სოციალური უზრუნველყოფის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

რ) მოაწყობს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას შეამოწმებს და დახმარებას გაუწევს ადგილებზე კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს, კონტროლს გაუწევს მუშაობას მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რომელსაც სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები ატარებენ;

ს) დააფინანსებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს;

ტ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას სამინისტროს სისტემაში; განახორციელებს საფინანსო კონტროლს, ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობას;

უ) დადგენილი წესით მოაწყობს, გარდაქმნის და გააუქმებს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ფ) დაამტკიცებს საწარმოების მშენებლობების, მოხუცთა და

ინვალიდთა სახლების, სასწავლებლების და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს სამინისტროსათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით;

ქ) დადგენილი წესით დაამყარებს კავშირურთიერთობას სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე უცხო ქვეყნების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებთან;

ღ) მისცემს რეკომენდაციას ლიტერატურის გამოსაცემად სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი:

ა) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებისა, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ისეთ საკითხებზე გამოტანილ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას, რომლებიც შეეხებიან სამინისტროს საქმიანობას; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

გ) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად, შეამოწმებს მათ შესრულებას;

დ) შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისა და მშრომელთა დეპუტატების ქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების ბრძანებებს, სოციალური უზრუნველყოფის სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად;

ე) დადგენილი წესით დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებებისა და სექტორების ხელმძღვანელ მუშაკებს, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებებისა და სექტორების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დებულებებს (წესდებებს);

ვ) შესაბამის პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად შეაჯამებს საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და დააჯილდოებს საუკეთესო მუშაკებს ნიშნით „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“, აგრეთვე დააჯილდოებს სამინისტროს სისტემის მუშაკებს სიგელებით.

5. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილის და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, განიხილავს საკითხებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების შესახებ, სოციალური უზრუნველყოფის საქმისადმი ხელმძღვანელობის ძირითად საკითხებს, მოხსენებებს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების, განყოფილებების და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების მუშაობის გამოცდილების შესახებ, აგრეთვე კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, სამინისტროს ნომენკლატურის მუშაკთა დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებებისა და სექტორების, ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა მოწინავე გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, სამინისტროს ხელმძღვანელ მითითებებს, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

7. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

6 1/320

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 736